11 – 17 მაისი 2017
ფასი 1 ლარი 70 თეთრი

# ახალი განათლება

№17 (771) გამოდის 1998 წლიდან
www.axaliganatleba.ge




„უნდა გავაცნობიეროთ, რომ ეს მართლა არ არის ბავშვების არჩევანი და ამ კამპანიით ვეცადოთ დავასრულოთ ბავშვთა ექსპლუატაცია."

ეკა ქვანია

გვერდი 2

წიგნის თარო

**მასწავლებლის ბიბლიოთეკა**

## პროფესიული უნარები

### დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია ყველა საგნის მასწავლებლისთვის




***პროფესიული უნარების სახელმძღვანელო***

*დაგეხმარებათ დამოუკიდებლად მოემზადოთ პედაგოგიური უნარების გამოცდისთვის. მასალა წარმოდგენილია კითხვა-პასუხის სახით, მდიდარია კონკრეტული მაგალითებით და შეიცავს ცოდნის შესამოწმებელ ტესტებს პასუხებით.*

თემატიკა: გაკვეთილის დაგეგმვა, სწავლების მეთოდები, კლასის მართვა, შეფასება, რესურსები, კათედრაზე მუშაობის ფორმები, გამჭოლი კომპეტენციები, მოტივაცია, ინკლუზიური საკლასო გარემო და ისგ, კომუნიკაცია, სასკოლო კონფლიქტები, გაკვეთილის ტიპები, საგანმანათლებლო რესურსის ტიპები და მისი შექმნის ეტაპები, სწავლის და განვითარების თეორიები და ა.შ.

*ფასი – 15 ლარი* *მიმდინარეობს ხელმოწერა*

**ევროინტეგრაცია**

*„ევროატლანტიკური სივრცე მხოლოდ გეოგრაფიული სივრცე არ არის, ეს საერთო ღირებულებების სივრცეა და ჩვენც თავი ამ ღირებულებების მატარებელ ერად მიგვაჩნია, ბუნებრივია, ამიტომაც მივისწრაფვით მისკენ. გვჯერა, რომ მართლაც თქვენ ხართ მეგზური ევროპისკენ, მეგზური ჩვენი მომავალი დღისკენ."*

გიორგი მაჩაბელი

გვერდი 4




**საგანმანათლებლო კვლევები**

## განათლების პოლიტიკის განსაზღვრის ეფექტური ინსტრუმენტი

გვერდი 6

ბავშვთა უფლებები

# ეს არ არის ჩემი არჩევანი

ლალი ჯელაძე



საქართველოში ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების პრობლემა, არაერთი მცდელობის მიუხედავად, ისევ სერიოზულ გამოწვევად რჩება. წლების განმავლობაში სტატისტიკა ისევ ბუნდოვანია, არ არსებობს ოფიციალური მონაცემი იმის შესახებ, რამდენი ბავშვი ითხოვს ქუჩაში მოწყალებას ან რამდენ მოზარდს უწევს მისთვის სახიფათო და საშიში ქმედებით სარჩოს მოპოვება. ამის მიზეზად სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან მოზარდების – ბავშვების „მოგზაურობა“ სახელდება, ისინი ხშირად გადაადგილდებიან ერთი ქალაქიდან მეორეში, რაც მათ იდენტიფიცირებას კიდევ უფრო ართულებს, ამასთანავე, ეს საკმაოდ ძვირადღირებული კვლევაა. მახსენდება გასული საუკუნის 90-იანი წლები, როცა სიღატაკეს, უშუქობასა და შიმშილთან ერთად, თბილისის ქუჩებში ხელგამოწვდილი პატარების ჯგუფები გაჩნდნენ, რომლებსაც თავიდან „მაწანწალა ბავშვებად“, მერე კი „ქუჩის ბავშვებად“ მოიხსენიებდნენ. მაშინ დამკვიდრებულმა ტერმინმა მხოლოდ სახელი შეიცვალა, არსი კი იგივე დარჩა, გაზრდილი მასშტაბითა და გეოგრაფიული არეალით. მიზეზებიც თითქმის უცვლელია – სიღატაკე და ოჯახში ძალადობა. ეს მიზეზები დასახელდა, დაახლოებით, ათი წლის წინ, გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად, თუმცა, ქვეყანაში რომ დაბალი სოციალური და ეკონომიკური ფონია, ამას დიდი კვლევები არ სჭირდება.

ამ ბავშვების მიმართ წლების განმავლობაში ყალიბდებოდა სტერეოტიპები და მათ გარშემო იქმნებოდა სტიგმები, რამაც პრობლემის მოგვარება კიდევ უფრო გაართულა. მათ შორის, ერთ-ერთი ეთნიკური ნიშნით არსებული სტატისტიკაა, რომლის მიხედვითაც, საზოგადოებაში არსებობს აზრი, რომ, თითქოს, ქართველი ბავშვები ქუჩაში არ მუშაობენ და არ ითხოვენ მოწყალებას, რადგან ქართული ოჯახებისთვის ეს მიუღებელია. ამ სტერეოტიპს ამსხვრევს ის 53 პროცენტი ქართველი ბავშვებისა, რომლებიც იდენტიფიცირებულ ბავშვებს შორის გამოვლინდა. მართალია, ოფიციალური სტატისტიკა არ არსებობს, მაგრამ World Vision საქართველოს მონაცემებით, იდენტიფიცირებულია 800 ბავშვი, რომელიც დღეს ქუჩაში ცხოვრობს ან მუშაობს, არაოფიციალურად კი მათი რიცხვი 2000-მდეა.

ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები სარჩოს მოიპოვებენ დღისა და ღამის პერიოდში, გარკვეული და ხანგრძლივი მონაკვეთის განმავლობაში, ასაკისათვის შეუსაბამო და სახიფათო სხვადასხვა ტიპის აქტივობებით – დგანან გრძელვადიან შუქნიშნებზე, გზაჯვარედინებზე, მეტროს სადგურებში, ბარებთან, რესტორნების წინ, მათ შორის, ღამის საათებში; აგროვებენ ჯართს, რომელიც ხშირად მათ წონაზე მეტია, ეწევიან წვრილმან ქურდობას. ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები მოკლებული არიან ყველა სიკეთეს, რაც მათი თანატოლებისთვის ხელმისაწვდომია, მოკლებული არიან განვითარებისთვის აუცილებელ პირობებს და რაც მთავარია, ფსიქოლოგიურად და ფიზიკურად იძულებული არიან, იშოვონ ფული თავიანთი ზედამხედველებისთვის, ზედამხედველები კი მათი მშობლები და ახლო ნათესავები არიან – არის თუ არა ეს ბავშვების ექსპლუატაცია? საზოგადოებისთვის „ტვირთად“ ქცეული სოციალურად დაუცველი ბავშვების ნაწილი სახელმწიფოსთვისაც სერიოზულ თავსატეხად იქცა.

რამდენიმე დღის წინ World Vision საქართველომ სწორედ ქუჩაში ბავშვთა ექსპლუატაციის წინააღმდეგ მიმართული ფართომასშტაბიანი კამპანია დაიწყო – **„ეს არ არის ჩემი არჩევანი“.** ამ ინიციატივით საქართველოს ოფისი შეუერთდა World Vision-ის გლობალურ კამპანიას **„მსოფლიო ბავშვებზე ძალადობის წინააღმდეგ“**, რომელშიც 100-მდე ქვეყანაა გაერთიანებული.

2013 წელს, დონორთა დახმარებით, საქართველოს მთავრობამ და არასამთავრობო ორგანიზაციებმა გააერთიანეს თავიანთი ძალისხმევა ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვებისათვის მომსახურებების შესაქმნელად და მათი იდენტიფიცირებისა და საჭირო სერვისებში რეფერირების მექანიზმის შესამუშავებლად. დღემდე, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში, იდენტიფიცირებულია, დაახლოებით, 800 ბავშვი, რომლებიც ყოველდღიურად ქუჩაში ცხოვრობენ ან მუშაობენ. *„ფიზიკური დასჯა, ცუდი მოპყრობა, განვითარების საშუალების არქონა მათი ოჯახის წევრების, ახლო ნათესავებისა და სხვა უფროსი ადამიანების მხრიდან ეკონომიკური ექსპლუატაციის შედეგებია“* – აცხადებენ ოფიციალური სტრუქტურები და კამპანიის „ეს არ არის ჩემი არჩევანი“ წამოწყებით, პრობლემის მოგვარებას გეგმავენ. კამპანიის მიზანია, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებითა და ხელისუფლების ჩართულობით, დასრულდეს ქუჩებში ბავშვების ექსპლუატაცია და ამოქმედდეს ექსპლუატაციის ამკრძალავი და მის პრევენციაზე მიმართული პოლიტიკა.

World Vision საქართველო მრავალი წელია, ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების თემაზე მუშაობს და, დღესდღეობით, დღისა და კრიზისული ინტერვენციის სამ ცენტრს ხელმძღვანელობს ბავშვთა ჩართულობის, საგანმანათლებლო და ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო სერვისების უზრუნველსაყოფად. სერვისების მიზანი ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებზე ზრუნვა და მათი განვითარების საჭიროებების დაკმაყოფილებაა. თუმცა, ეს რომ საკმარისი არ არის, ამას ოფიციალურ სტრუქტურაშიც აღიარებენ და ამიტომაც ბავშვთა ერთიან კოდექსზეც მუშაობენ. ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე, **სოფო კილაძე** მიიჩნევს, რომ: *„კოდექსი იქნება სრული გარანტი, უფლებრივ დონეზე, ამ ბავშვებისთვის, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი ცხოვრების ღირსეული პირობები“*. ის აცხადებს, რომ სოციალური მუშაკის ინსტიტუციის ცვლილებაზეც მიმდინარეობს მუშაობა.

World Vision საქართველოს პროგრამების დირექტორი **ეკა ჟვანია** ამბობს: *„უნდა გავაცნობიეროთ, რომ ეს მართლა არ არის ბავშვების არჩევანი და ამ კამპანიით ვეცადოთ დავასრულოთ ბავშვთა ექსპლუატაცია. ბავშვებს, რომლებსაც „მიუსაფარი ბავშვების“ ტერმინით მოვიხსენიებთ, ყოველდღიურად ქუჩაში ცხოვრებით და შრომით უხდებათ თავის გატანა. ისინი მოკლებული არიან ბავშვობას – ხშირად შევხვდებით საქართველოს დიდ ქალაქებში, რომ მათხოვრობენ ან წვრილმანი ნივთებით ვაჭრობენ.*

*World Vision საქართველო, მთავრობის თანადაფინანსებული პროგრამის ფარგლებში, ადმინისტრირებას უწევს სამ ბავშვთა თავშესაფარს, თუმცა საქართველოში არსებული სერვისები, რომელიც ამ უხილავი ბავშვების საჭიროებების წარმოჩენას ემსახურება, საკმარისი არ არის. დაგეგმილი კამპანიის მიზანია, დავასრულოთ ქუჩებში ბავშვთა ექსპლუატაცია, ავამაღლოთ საზოგადოების ცნობიერება და ავამოქმედოთ პოლიტიკა, რომელიც ბავშვების ექსპლუატაციის წინააღმდეგ იქნება მიმართული.“*

World Vision საქართველოს ბავშვთა დაცვის მომსახურებათა და ადვოკატირების პროგრამის მენეჯერი **მაია მეგაშვილი** ამბობს: *„საზოგადოებაში არსებობს მოსაზრება, რომ ისინი ნებაყოფლობით, შემოსავლების ან დამატებითი შემოსავლების მიღების მიზნით, არიან ქუჩაში, მაგრამ მინდა უგულებელვყო ყველა ეს მითი და ვთქვა, რომ ბავშვი, უმრავლეს შემთხვევაში, ამას ცნობიერი არჩევნის დონეზე არ აკეთებს. ისინი ოჯახის წევრების და ახლო ნათესავების მსხვერპლნი არიან როგორც ფიზიკურად, ისე ფსიქოლოგიურად. სწორედ უფროსები აიძულებენ მათ, ყოველდღიურად, სრული დატვირთვით იმუშაონ ქუჩაში.*

*2014 წლიდან დღემდე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკების მიერ, მოხდა ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების იდენტიფიცირება – ამ მონაცემებით, 820 ბავშვია. როგორც ჩანს, ცოტა ჩამოვრჩი სტატისტიკას, რადგან დღეს ითქვა, რომ არაოფიციალური მონაცემებით მათი რიცხვი 2000-მდეა. ჩვენთან დეტალურად ვიცნობთ იდენტიფიცირებული 820 ბავშვის შემთხვევას და კოლეგები დამეთანხმებიან, რომ ამ ბავშვების უმრავლესობის შემთხვევაში ეს ყველაფერი მათი ოჯახის წევრებისა და ნათესავებისგან მოდის. ამიტომ გაჩნდა იმის საჭიროება, რომ ქუჩაში ბავშვთა ექსპლუატაციის საკითხებზე ვიმსჯელოთ. ეს მართლა არ არის ამ ბავშვების არჩევანი, ისინი მოკლებული არიან განვითარების საჭიროებების დაკმაყოფილების გზებს, არ ეძლევათ საშუალება, ყოველდღიურად ჩართული იყვნენ საზოგადოებრივი ცხოვრების დინამიკაში. ამ პატარებს არა აქვთ გართობისა და დასვენების საშუალება. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ეს ნამდვილად არ არის ამ ბავშვების არჩევანი.“*

სოციალური დაცვის დეპარტამენტის უფროსი **ნინო ოდიშარია** მიიჩნევს, რომ: *„ეს ბავშვები ყველაზე მოწყვლადნი არიან და ამიტომ მათზე მუშაობა ყველაზე რთულია. დიდი ძალისხმევა გვჭირდება, რომ ისინი მომსახურებებში ჩავრთოთ. იმასაც ვცდილობთ, გავაძლიეროთ ის ოჯახები, რომლებიც არ ძალადობენ ბავშვებზე, თუმცა, სამწუხაროდ, გვქონდა შემთხვევები, როცა ბავშვები გამოვიყვანეთ ოჯახებიდან, სადაც მათზე ძალადობდნენ“.*

მასშტაბური კამპანიის მიზანი, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასთან ერთად, იმ მიზეზების შესწავლაა, რაც პატარას ქუჩაში გასვლას აიძულებს. ამ მიზეზების კვლევას გაეროს ბავშვთა ფონდი, ათი წლის შემდეგ, ისევ უბრუნდება და როგორც იუნისეფის წარმომადგენელი **ქეთი მელიქიძე** ამბობს: *„ეს კვლევა არ დადებს რაოდენობრივ მონაცემებს, მაგრამ დადებს დეტალურ ინფორმაციას იმის შესახებ, რა კატეგორიის და რა ჯგუფის ბავშვები გვხვდებიან საქართველოში ქუჩაში და რა არის ის უშუალო მიზეზები და ფაქტორები, რაც უბიძგებს მათ, გამოვიდნენ სამუშაოდ ან მოწყალების მისაღებად“.*

* * *

**„დედა და მამა დაცილებულები არიან. რავი, სულ ჩხუბობდნენ და იმიტო. დედა ადრე დამლაგებლად მუშაობდა ხოლმე, მერე თურქეთში წავიდა სამუშაოს საპოვნელად. ხოდა მაგ დროს გამოვედი მეც ქუჩაში. 11 წლისა ვიყავი. რამეების ყიდვა მინდოდა და ფული რო არ მქონდა იმიტო გამოვედი. ქუჩაში ძირითადად მოწყალებას ვითხოვდი. მეგობრები არ მყავდა, არ ვთამაშობდი, სულ მარტო ვიყავი ხოლმე. ხანდახან ცუდი რაღაცეებიც მომდიოდა ხოლმე ქუჩაში, მაგალითად ერთხელ ვიღაც ბიჭს ვეჩხუბე რა და მერე იმისი ძმა წამომეჭიმა და გამლახა. ძაან ცუდი იყო.**

**როცა ქუჩაში ვიყავი ხოლმე, მინდოდა რო მქონოდა ველოსიპედი რო სიარულით არ დავღლილიყავი, კიდე ტელეფონი მინდოდა და პლანშეტი.**

**გამვლელები ხანდახან მეჩხუბებოდნენ ხოლმე, ხანდახან შოკოლადებს მაძლევდნენ და ფულს. მერე იმ ფულით სიგარეტებს ვყიდულობდი, ჩიფსებს და საჭმელებს.**

**1 წელია აქ რაც მომიყვანეს, ფსიქოლოგმა მომიყვანა, ქუჩაში მიპოვა და წამოდიო მითხრა, მეც წავყვევი. აქ კაია, მომწონს. ვთამაშობ ხან ეზოში, ხან კომპიუტერთან ვჯდები. სკოლის გაკვეთილებს გვასწავლიან აქ. მათემატიკას, ინგლისურს, მუსიკებს ვუსმენ.**

**კიდე ტრენენგები გვაქვს ხოლმე, იქ ვზივართ და ამბებს ვყვებით ხოლმე ჩვენზე, მერე მასწავლებელი გვასწავლის ხოლმე რაღაცებს. ხალხს როგორ უნდა მოვექცეთ, ერთმანეთს რო არ უნდა ვეჩხუბოთ, რო არ გავბრაზდეთ ხოლმე.**

**რო გავიზრდები პოლიციელი მინდა გამოვიდე, ცუდებს დავიჭერ კარგებს დავეხმარები, რო დავიჭერ ცუდებს და გამოვიძიებ თუ ცუდი არ აღმოჩნდა გამოუშვებ.**

**სხვა ბავშვებს ვინც კიდე იქ დგანან, ვეტყოდი რო დაანებონ თავი მოწყალებას და აქ მოვიდნენ რო ისეთი გონიერი და ნიჭიერები გამოვიდნენ როგორიც მე ვარ ეხლა.“** – ეს სიტყვები **ლევანს** ეკუთვნის (მისი სახელი შეცვლილია), რომელიც უკვე 1 წელია, World Vision საქართველოს დღისა და კრიზისული ინტერვენციის ცენტრში ცხოვრობს.

უნდა გავითავისოთ, რომ ეს მართლაც არ იყო მისი არჩევანი, რომ ამ ბავშვების შრომითი ექსპლუატაციის უკან უფროსები დგანან და მცირეწლოვან ბავშვებს მოგების მიზნით იყენებენ. ვინ იცის, ეს კამპანია რამდენ ლევანს ჩაუსახავს მიზანს და გამოავლენს ნიჭს, რომელიც მათი მომავლის ყველაზე დიდი გარანტია.





2016-2017 სასწავლო წლის სკოლის გამოსაშვები გამოცდების (მე-12 კლასი) ჩატარების განრიგი

## გთავაზობთ 2016–2017 სასწავლო წლის სკოლის გამოსაშვები გამოცდების (მე–12 კლასი) ჩატარების განრიგს:

21 მაისი:
- ქართული ენა და ლიტერატურა;
- ქართული, როგორც მეორე ენა;
- გეოგრაფია.

22 მაისი:
- უცხოური ენები;
- ბიოლოგია.

23 მაისი:
- ისტორია;
- ფიზიკა.

24 მაისი:
- მათემატიკა;
- ფიზიკა.

25 მაისი;
- ქიმია.

# 2017 წლის საგნის/პროფესიული უნარების ტესტის მაქსიმალური ქულები და საგამოცდო დროის ხანგრძლივობა

| № | ტესტის ნაწილი | მაქსიმალური ქულა | საგამოცდო დრო |
|---|---|---|---|
| 1. | ქართული ენა და ლიტერატურა | 70 | 5 საათი |
| 2. | მათემატიკა | 52 | 5 საათი |
| 3. | გეოგრაფია | 59 | 5 საათი |
| 4. | ბიოლოგია | 63 | 5 საათი |
| 5. | ქიმია | 70 | 5 საათი |
| 6. | ფიზიკა | 70 | 5 საათი |
| 7. | ისტორია | 60 | 5 საათი |
| 8. | სამოქალაქო განათლება | 60 | 5 საათი |
| 9. | უცხოური ენა | 90 | 4 საათი |
| | მოსმენის ნაწილი | 16 | |
| | წერითი ნაწილი | 22 | |
| | კითხვის ნაწილი | 36 | |
| | მეტყველების ნაწილი | 16 | 15 წუთი |
| 10. | დაწყებითი საფეხური (I-IV) | 80 | 5 საათი |
| | პროფესიული ცოდნა | 62 | |
| | აკადემიური უნარები | 18 | |
| 11. | ქართული ენა და ლიტერატურა (I-VI) | 65 | 5 საათი |
| | პროფესიული ცოდნა | 47 | |
| | აკადემიური უნარები | 18 | |
| 12. | მათემატიკა (I-VI) | 65 | 5 საათი |
| | პროფესიული ცოდნა | 47 | |
| | აკადემიური უნარები | 18 | |
| 13. | ბუნებისმეტყველება (I-VI) | 65 | 5 საათი |
| | პროფესიული ცოდნა | 47 | |
| | აკადემიური უნარები | 18 | |
| 14. | სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება | 60 | 4 საათი |
| 15. | ქართული, როგორც მეორე ენა | 95 | 5 საათი |
| | მოსმენის ნაწილი | 11 | |
| | კითხვის ნაწილი | 28 | |
| | წერის ნაწილი | 20 | |
| | პროფესიული ცოდნა | 25 | |
| | ლაპარაკის ნაწილი | 11 | 15 წუთი |
| 16. | ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები | 70 | |
| | პროფესიული ცოდნა | 35 | 1სთ 30 წთ |
| | პრაქტიკული უნარ-ჩვევები | 35 | 2 საათი |
| 17. | სპორტი | 70 | 2სთ 30წთ |
| 18. | მუსიკა | 70 | 4 საათი |
| 19. | პროფესიული უნარები | 70 | 5 საათი |

პროფესიული განათლება

# დუალური სწავლება სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის

ანა ფირცხალაიშვილი

ერთი წელი გასრულდა, რაც საქართველოს რიგ პროფესიულ სასწავლებელში, საპილოტე რეჟიმში, მიმდინარეობს დუალური მეთოდით (სამუშაოზე დაფუძნებული მეთოდი) სწავლება. პროექტის განხორციელებაში აქტიურად ჩაერთო საქართველოს ფერმერთა ასოციაცია (თავმჯდომარე – **ნინო ზამბახიძე**), რომელმაც 4 მაისს, საგანგებო კონფერენცია მიუძღვნა ერთი წლის შედეგების შეჯამებას. ასოციაციის კოორდინაციით, მეცხოველეობისა და მეხილეობის მიმართულებით, საქართველოს ოთხ რეგიონში ხორციელდება პროექტი – სამეგრელო, კახეთი, სამცხე-ჯავახეთი და მცხეთა-მთიანეთი. სწავლების ახალი მოდელის დანერგვის მიზანი სოფლის მეურნეობაში შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და კერძო სექტორის საჭიროებებზე ორიენტირებული პროფესიული განათლების მოდელის ფორმირებაა, რამაც უნდა უზრუნველყოს დარგის შემდგომი განვითარება. კონფერენციაზე აღინიშნა, რომ საქართველოს ფერმერთა ასოციაციამ, აღნიშნულ რეგიონებში, 11 კომპანია შეარჩია, სადაც სტუდენტები სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებას (სდს) გადიან. სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, **გიორგი სანიშვილმა** რომელიც თავადაც ფერმერი იყო და კარგად იცნობს ამ სფეროს, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ სფეროში განათლების დიდი დეფიციტია და მსოფლიოში აპრობირებული თანამედროვე მეთოდების ცოდნის გარეშე დარგის განვითარებას პერსპექტივა არ აქვს. უცხოელი პარტნიორების დახმარებით შემუშავებული ისეთი მოდულური პროგრამებით მიმდინარეობს სწავლება, რამაც მომავალში ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტით იმპორტული პროდუქციის, დიდწილად, ჩანაცვლება უნდა უზრუნველყოს. სასიხარულოა, რომ მოდულური პროგრამები თანდათან პოპულარული ხდება და ამ მიზნის მიღწევა დღევანდელი და მომავალი სტუდენტების ხელშია. რამდენიმე სტუდენტი მონაწილეობდა კიდეც კონფერენციაში. **მედეა პაჭკორია**, **ნათია დამენია**, **ანა მარგიანი**, **გიგი მამულია**, **ირაკლი გერგედავა** შოთა მესხიას ზუგდიდის სასწავლო სახელმწიფო უნივერსიტეტის სენაკის ბაზის სტუდენტები არიან, მოსწონთ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება, მეხილის პროფესიას ეუფლებიან და ფერმერობაზე ოცნებობენ; **ბაჩუკი ნეფარიძე** სამცხე-ჯავახეთიდანაა, სკოლა ათი წლის წინ დაამთავრა, საკუთარი ფერმაც აქვს, მაგრამ სწავლის გაგრძელება ფერმერობის სპეციალობაზე გადაწყვიტა და „ოპიზარის" სტუდენტი გახდა *„ბევრი რამ არ მცოდნია, ახალ საწარმოში პრაქტიკა და პარალელურად თეორიის სწავლა ძალიან სასარგებლოა. დარწმუნებული ვარ, კოლეჯში სწავლის ორი წელი მომავალ წარმატებაში დამეხმარება"*.

როგორ მიმდინარეობს საპილოტე წელი, ამის შესახებ კაჭრეთის კოლეჯის „აისი" დირექტორმა **მალხაზ ასლამაზაშვილმა** გვიამბო: *„ჩვენი კოლეჯი მრავალდარგოვანია. შარშან ორი დუალური პროგრამის განხორციელება დავიწყეთ – მეღვინეობაში და მეცხოველეობაში. ორივე პროგრამაში სხვადასხვა დონორი ორგანიზაცია გვყავს, პროგრამებიც მათთან ერთად, ანუ მომავალ დამსაქმებლებთან ერთად, დაიწერა და ავტორიზაციაც ერთად გავიარეთ. მთავარი, რაც ამ მეთოდს დანარჩენი მოდელებისგან გამოარჩევს, სტუდენტების მაღალი მოტივაციაა, კეთებით სწავლება გაცილებით იოლი და ეფექტურია, მათ იციან, რომ სპეციალობის კარგად ათვისების შემთხვევაში, დასაქმების მაღალი შანსი აქვთ, კვალიფიციური სპეციალისტით კი დამსაქმებელიც დაინტერესებულია. შარშან მეღვინეობაზე 11 ახალგაზრდა მოვიდა, მეცხოველეობაზე – 8. რესურსი მეტი გვაქვს, მაგრამ საპილოტე რეჟიმისთვის ამ რაოდენობით შემოვიფარგლეთ, რომ ხარვეზების შემთხვევაში სწრაფი რეაგირების საშუალება გვექნეს. თანამშრომლობის სურვილი სხვა კერძო კომპანიებმაც გამოთქვეს და, სავარაუდოდ, მათთანაც ვითანამშრომლებთ"*.

ბატონი მალხაზი პროფორიენტაციის აუცილებლობაზე საუბრისას ამბობს, რომ კოლეჯში ამ სამსახურის არსებობა და მის მიერ ორგანიზებული ღონისძიებები ყველაზე კარგი საშუალებაა სკოლის მოსწავლეების პროფესიული განათლებით დაინტერესებისა და მოზიდვისათვის.

ეს მართლაც სერიოზული საკითხია. ახლად ამოქმედებულ, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ სასწავლებლებში, ნამდვილად არის ყველა პირობა თანამედროვე პროფესიების დასაუფლებლად. ამის შესახებ, პირველ რიგში, სწორედ უფროსკლასელებმა უნდა იცოდნენ. განათლების მინისტრმა კონფერენციაზე თქვა, რომ ჩვენს ქვეყანაში პროფესიული განათლება არ არის პრესტიჟული და ეს იმის მიუხედავად, რომ ბოლო წლებში ამ სფეროში ბევრი რამ რადიკალურად შეიცვალა. ბატონი ალექსანდრეს თქმით, საგაზაფხულო მიღებაზე, სახელმწიფო კოლეჯებში, 25%-ით მეტი მსურველი მოვიდა, ვიდრე შარშან. და ეს დაინტერესება, პირველ რიგში, დუალური სწავლების შემოღებამ მოიტანა. *„პროფესიული განათლების არსი, თავისთავად, დუალურია და მინდა, რომ 15 წლის შემდეგ, როცა მსგავს კონფერენციას ჩავატარებთ, დუალურის გარდა სხვა არც არაფერი გვახსოვდეს". 100-ზე მეტი შეხვედრა მქონდა ამ საკითხზე, რამაც არჩევნის სისწორეში დამარწმუნა. მგონია, რომ შინაარსობრივად სწორ გზას ვადგავართ, ერთადერთი, რასაც ვისურვებდი, რომ გამოსწორდეს, პროცესის დაჩქარებაა"* – აღნიშნა ალექსანდრე ჯეჯელავამ.

კონფერენციის მონაწილე უცხოელი პარტნიორების მიმართ არაერთგზის გაისმა სამადლობელი სიტყვები. **შომბი შარპი** – გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე და **ოლივერ ბურკი** – შვეიცარიის განვითარების თანამშრომლობის რეგიონული დირექტორი თავადაც მადლობას უხდიან იმ სტუდენტებსა და კომპანიებს, ვინც, ფერმერთა ასოციაციასთან ერთად, წარმატებით გაიარეს პირველი ეტაპი, რომლის გაგრძელებასა და მასშტაბების გაფართოების აუცილებლობაში დარწმუნებულები არიან.

ბატონმა ოლივერმა, სხვათა შორის, აღნიშნა, რომ შვეიცარიელი ახალგაზრდების 60% სწორედ ამ სექტორშია და უმუშევრობის ყველაზე დაბალი დონე სწორედ ამითაა განპირობებული. საქართველოში კი, დღეისათვის, 40-ზე მეტი კოლეჯია ისეთი, ახალგაზრდებს რომ გზას გაუხსნის დასაქმებისთვის.

კონფერენციის დასასრულ, სდს-ის პარტნიორი კომპანიებისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა.

ევროინტეგრაცია

# საუკეთესო მეგზურების შთამბეჭდავი გზა ევროპისკენ

ლალი ჯელაძე

ევროპის დღეების ფარგლებში, ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით, მასწავლებლის სახლში გაიხსნა კონფერენცია „მასწავლებელი – მეგზური ევროპისკენ“. *„ერთად ვიაროთ საქართველოს მომავლისკენ – ევროპისკენ.* – ასე მიმართა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორმა, **გიორგი მაჩაბელმა** კონფერენციის მონაწილეეებს, – *ევროატლანტიკური სივრცე მხოლოდ გეოგრაფიული სივრცე არ არის, ეს საერთო ღირებულებების სივრცეა და ჩვენც თავი ამ ღირებულებების მატარებელ ერად მიგვაჩნია, ბუნებრივია, ამიტომაც მივისწრაფვით მისკენ.“*

მისივე თქმით, პროექტის დასახელებაც – „მასწავლებელი – მეგზური ევროპისკენ“ – სიმბოლურია იმიტომ, რომ: *„გვჯერა, რომ მართლაც თქვენ ხართ მეგზური ევროპისკენ, მეგზური ჩვენი მომავალი დღისკენ. ყოველთვის მხარში დაგიდგებით ამ მნიშვნელოვანი საქმის კეთებაში და თქვენთან ერთად განვახორციელებთ ნაბიჯებს, რომლებიც ნათელი მომავლისკენ წაგვიყვანს. უკვე ოთხი წელია, ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრთან ერთად, ეს პროგრამა ხორციელდება და მინდა ულრმესი მადლობა მოვახსენო მათ პროდუქტიული თანამშრომლობისთვის.*

*ამავე მიმართულებით ცენტრი არაერთ ღონისძიებას ახორციელებს და მონაწილეობს ევროკავშირის და ევროსაბჭოს მნიშვნელოვან პროექტებში, მაგალითად, როგორიცაა: ინსტრუმენტები დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების დანერგვისათვის. მინდა, კმაყოფილებით აღვნიშნო, რომ საქართველო ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა ამ ინსტრუმენტების დანერგვის მიმართულებით, სამაგალითოა ამ პროექტში. ასევე, მინდა აღვნიშნო დემოკრატიული განვითარების ხელშეწყობის პროექტი, რომლის ფარგლებში, უკვე უმაღლეს სასწავლებლებში, მასწავლებლების მოსამზადებელ კურსებში ჩართულია პროგრამა და მასწავლებელი სრულფასოვან ცოდნას მიიღებს ამ ღირებულებების შესახებ. რაც მთავარია, ის იქნება ამ ცოდნის გადამცემი მომავალი თაობებისთვის. ძალიან მნიშვნელოვან პროგრამას ვახორციელებთ e Twinning-ის სახით და მოხარულები ვართ, რომ წელს ამ პროექტში ჩართვის ინტერესი ძალიან გაიზარდა, მოკლე პერიოდის განმავლობაში, იანვრიდან დღემდე, 250 ახალი მოხალისე მასწავლებელი ჩაერთო. პროგრამა ითვალისწინებს ევროპულ სკოლებთან დამეგობრებას და ჩვენ ყველანაირად შეგიწყობთ ხელს, რომ გქონდეთ საშუალება ევროპელ კოლეგებთან ურთიერთობის, სტუმრობის, მასპინძლობის და მათთვის თქვენი გამოცდილების გაზიარების, რადგან უცხოელი კოლეგებისთვის მნიშვნელოვანია თქვენი გამოცდილების გაცნობა.“* – აღნიშნა გიორგი მაჩაბელმა.

კონფერენციის გახსნა საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო, ესწრებოდნენ: სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში **ვიქტორ დოლიძე**, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი **ქეთევან ციხელაშვილი**, ესტონეთისა და გერმანიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩები საქართველოში, ფრიდრიხ ებერტის ფონდის წარმომადგენლობის დირექტორი საქართველოში **ფელიქს ჰეტი**, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე **ქეთევან ნატრიაშვილი**.

კონფერენციის მიზანია მასწავლებლებმა მიიღონ ინფორმაცია საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის მნიშვნელობისა და პერსპექტივების შესახებ, გაეცნონ იმ შესაძლებლობებს, რომლებსაც მათ ევროპული პროექტები სთავაზობს, ასევე, გაზიარებული გამოცდილება და მიღებული ცოდნა დანერგონ სასწავლო პროცესში.

რა არის პროექტის იდეა, რომელიც უკვე მეოთხე წელია ტარდება – ამაზე ისაუბრა ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის დირექტორმა **ნინო ბოლქვაძემ:**

*„ჩვენი ცენტრის იდეა იყო გაეაქტიურებინა მასწავლებლები ევროინტეგრაციის გზაზე და მათი ჩართულობა პროცესში კიდევ უფრო გაეზარდა. როგორ ვახერხებთ ამას? ეს გზა, ჩემი აზრით, ძალიან შთამბეჭდავია – წელიწადში ერთხელ, ჩვენი მხარდამჭერების ორგანიზებითა და დახმარებით, ვატარებთ სემინარს, რომლის შემდეგ, უკვე მთელი წლის განმავლობაში, ეს პედაგოგები, ქვეყნის მასშტაბით, საკუთარი ენთუზიაზმითა და მონდომებით, იძიებენ და ახორციელებენ პროექტებს საკუთარი მოსწავლეებისთვის, რომლის ფარგლებში, ყალიბდება ბავშვების ცნობიერება ევროკავშირთან მიმართებაში. იმდენად შთამბეჭდავი პროექტებია, რომ მე პირადად, წელს, მართლა გაოცებული ვიყავი, როცა გავეცანი მასწავლებლების მიერ განხორციელებულ საქმიანობას. ეს ყველაფერი განსაკუთრებით დასაფასებელი იმიტომაცაა, რომ მხოლოდ და მხოლოდ მათი ენთუზიაზმისა და შრომის შედეგია.*

*ასეთი აქტიურობისთვის და ამ შთამბეჭდავი პროექტის ხორცშესხმისთვის, ძალიან დიდი მადლობა მინდა ვუთხრა თითოეულ მასწავლებელს, ასევე, ჩვენს მხარდამჭერებს, რომელთა დახმარების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა პროექტის განხორციელება. განსაკუთრებული მადლობა ფრიდრიხ ებერტის ფონდს საქართველოში, ასევე, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრს, რომელიც აქტიურად გვიდგას გვერდში, ასევე, აღმოსავლეთ პარტნიორობის ესტონურ ცენტრს, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენი გამარჯვებულებისთვის ესტონეთში გამგზავრებას.*

*ეს რომ ძალიან კარგი პროექტია, ამის დასტური თქვენ ხართ, ასმაგად უფრო დასაფასებელია შრომა, რომელსაც მთელი წლის განმავლობაში საკუთარი ენთუზიაზმითა და მონდომებით ახორციელებთ. გისურვებთ წარმატებულ მოგზაურობას, სასწავლო ვიზიტს ესტონეთში, სადაც ძალიან საინტერესო პროგრამა გელოდებათ. იმედია, კიდევ უფრო გაიმდიდრებთ ცოდნას ევროპის შესახებ და უფრო მეტ საინტერესო გამოცდილებას დაიგროვებთ მომავალში.“*

ევროპის დღეების ფარგლებში, ორდღიან სემინარში, რეგიონებისა და დედაქალაქის 100-ზე მეტმა მასწავლებელმა მიიღო მონაწილეობა. სემინარში, ასევე მონაწილეობდნენ პედაგოგები საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მდებარე სოფლებიდან. სახელმწიფო მინისტრმა, ვიქტორ დოლიძემ სემინარის მოწყობა ძალიან კარგ იდეად შეაფასა და მასწავლებლები ევროპისაკენ მიმავალ გზაზე, მართლაც, ყველაზე საუკეთესო მეგზურებად შეაფასა: *„მასწავლებელი, ალბათ, ნამდვილად ყველაზე კარგი მეგზურია ევროპისკენ მომავალი თაობისთვის. განსაკუთრებით რეგიონებში მოღვაწე პედაგოგებზე მაქვს საუბარი, რომელთაც ამგვარი სემინარები და ტრენინგები საუკეთესო საშუალებას აძლევთ, მეტი ინფორმაცია მიიღონ ევროატლანტიკურ ღირებულებებსა და პროცესებზე. ბოლო პერიოდში, ამას ძალიან ინტენსიური ხასიათი მიეცა, განსაკუთრებით ამ ინფორმაციის მოსწავლეებამდე მიტანას, იმ მოსწავლეებამდე, რომლებსაც უწევთ სწავლა და ცხოვრება ოკუპირებული ტერიტორიის გასწვრივ და მიმდებარედ. ჩვენ ამას განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ და მომავალშიც გავაგრძელებთ მათთან კომუნიკაციას.*

*ძალიან კარგი იდეა იყო დღევანდელი სემინარის მოწყობა, ბევრი საინტერესო საკითხია, მათ შორის, ეკოლოგიური საკითხებიც. ვფიქრობ, ეს ძალიან მნიშვნელოვანია და ამ მიმართულებით ნაბიჯების გადადგმა ნამდვილად მოგვიწევს. მინდა, გისურვოთ წარმატებული სემინარი, რათა შემდეგ ეს წარმატება თქვენს მოსწავლეებთან გადაიტანოთ.“*

წელს პროექტი საქართველო-გერმანიის მეგობრობის წლის ფარგლებში გაიმართა. სემინარზე პროექტების კონკურსში გამარჯვებული მასწავლებლებიც დაჯილდოვდნენ, რომლებიც თვის ბოლოს, ერთკვირიანი სასწავლო ვიზიტით, ესტონეთში გაემგზავრებიან. გამოვლინდა 10 გამარჯვებული მასწავლებელი:

პპირველი სამეული:

- ❖ **ლელა წურწუმია**, სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, შიდა ქართლი, სსიპ გორის №12 საჯარო სკოლა;
- ❖ **ვლადიმერ აფხაზავა**, სამოქალაქო განათლების პედაგოგი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლა;
- ❖ **ნესტან კუბლაშვილი**, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, თბილისი, ისანი-სამგორი, სსიპ №172 საჯარო სკოლა.

საპრიზო ადგილები:

- ❖ **რიმა კაბულაშვილი**, გეოგრაფიის მასწავლებელი, გორი, სსიპ ტირძნისის საჯარო სკოლა;
- ❖ **მაგდა ფურცელაძე**, სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, ბოლნისი, კერძო სკოლა „დავითიანი“;
- ❖ **მაია გვასალია**, სამოქალაქო განათლების პედაგოგი, ფოთის თეოფანე დავითაიას სახელობის №1 საჯარო სკოლა.
- ❖ **ვარდო რომანაძე**, დაწყებითი კლასის პედაგოგი, ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბობოყვათის საჯარო სკოლა;
- ❖ **მაია გოგიშვილი**, ისტორიის პედაგოგი, თბილისის №156 საჯარო სკოლა;
- ❖ **ლელა ცაგურიშვილი**, დირექტორის მოადგილე, თბილისის №49 საჯარო სკოლა;
- ❖ **მზია ჩხაიძე**, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, თბილისის №49 საჯარო სკოლა.

ესტონეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში, **კაი კაარელსონმა** აღნიშნა, რომ ეს პროექტი ასოცირების ხელშეკრულებით აღებული ვალდებულების ნაწილია და საზოგადოებაში ამ ღირებულებების დანერგვის ყველაზე მნიშვნელოვანი მულტიპლიკატორები მასწავლებლები არიან. *„ვფიქრობ, თქვენი საქმიანობა მართლაც განსაკუთრებულ პატივისცემას იმსახურებს. განათლება, ბუნებრივია, ძალზე მნიშვნელოვანი დამაჩქარებელია არა მხოლოდ ეკონომიკური ზრდისა, არამედ, ზოგადად, საზოგადოების განვითარებისა. ესტონეთში ჩვენ უკვე გავიარეთ ეს გზა და ყოველთვის ვიქნებით თქვენი მხარდამჭერები, ჩვენი გამოცდილებითაც. გამარჯვებულებს მივესალმები და ესტონურ მიწა-წყალზე წარმატებულ ვიზიტს ვუსურვებ. დანარჩენ მასწავლებლებს კი – ნაყოფიერ კონფერენციას“.* – აღნიშნა მან.

ფრიდრიხ ებერტის ფონდის სამხრეთ კავკასიის წარმომადგენლობის დირექტორმა, **ფელიქს ჰეტმა** განაცხადა: *„ფონდი მოხარულია, რომ ამ ღონისძიებას უჭერს მხარს, რადგან ეს იდეალურად ერწყმება ჩვენს მისიას თქვენს ქვეყანაში. გერმანული პოლიტიკური ფონდი, 100-ზე მეტ ქვეყანაში, მონაწილეობს პოლიტიკური განათლებისა და ღირებულებების გავრცელების საკითხებში. საქართველოში ჩვენ მხარს ვუჭერთ ევროპულ ამბიციებს და მართლაც, ბედნიერი ვარ, რომ მხარი დავუჭირეთ სემინარს სახელწოდებით – „მასწავლებელი მეგზური ევროპისაკენ.“*

*საქართველო ევროპულ გზაზე რომ გავიდეს, ამისთვის განათლებული მოქალაქეები სჭირდება, რომლებიც კარგად აცნობიერებენ მოვლენებს და აქვთ კრიტიკული აზროვნების უნარი. ვფიქრობ, თქვენი მთავარი პასუხისმგებლობა სწორედ ეს არის – აღზარდოთ ასეთი მოქალაქეები. რა თქმა უნდა, ეს ძალზე რთულია. ერთადერთი მისია არ არის ახალგაზრდებისთვის ინფორმაციის გაზიარება, უნდა ასწავლოთ, დამოუკიდებლად როგორ შეძლონ ამ ინფორმაციის მოძიება და, ამასთანავე, გამოიმუშაონ ანალიტიკური აზროვნების უნარი. ეს უნარი თქვენ უნდა განუვითაროთ, განსაკუთრებით ინფორმაციის მოზღვავების პირობებში, რომელიც ასე დამახასიათებელია თანამედროვე მსოფლიოსთვის. ამ თვალსაზრისით თქვენ, მართლაც, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მეგზურები ხართ მომავალი თაობისთვის, ახალგაზრდებისთვის. დარწმუნებული ვარ, რომ ორი დღის განმავლობაში ეს სემინარი დაგეხმარებათ, წარმატებით გაართვათ თავი ამ ძალიან რთულ და პასუხისმგებლობით აღსავსე მისიას.“*







კონფერენცია

# პრობლემაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდები

მაკა ყიფიანი

2017 წლის 28 აპრილს, სსიპ ქალაქ თბილისის №128 საჯარო სკოლაში, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, ჩატარდა პედაგოგიური კონფერენცია „პრობლემაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდები“. საბუნებისმეტყველო, უცხო ენებისა და ჰუმანიტარული საგნების პედაგოგები მსმენელთა წინაშე მეტად საინტერესო და მრავალფეროვანი თემატიკით წარდგნენ და პრობლემაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდებზე ისაუბრეს. კონფერენციაში მონაწილეობდნენ თბილისის 128-ე საჯარო სკოლის მასწავლებლები, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები, სიღნაღისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტების პედაგოგები.

პედაგოგიური კონფერენცია ორ სექტორად მუშაობდა. პირველ სექტორში საინტერესო მოხსენებები წარმოადგინეს:

**თამარ ქუთათელაძემ**, 128-ე საჯარო სკოლის V-IX კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა – „პროექტებისა და კვლევების გამოყენების ეფექტურობა საბაზო-საშუალო საფეხურებზე“;

**ნათია დარჩიამ**, 128-ე საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის მასწავლებელმა – „როგორ გავხადოთ სწავლა-სწავლების პროცესი საინტერესო დაწყებით საფეხურზე“;

**ლია ნადირაშვილმა**, სიღნაღის მუნიციპალიტეტის ნუკრიანის მეორე საჯარო სკოლის დაწყებითების პედაგოგმა – „იაკობი – პირველი საბავშვო პოეტი“;

**მაია ყურაშვილმა**, 128-ე საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის პედაგოგმა – „ინტერნეტრესურსებით სწავლება დაწყებით საფეხურზე“;

**ილონა აფაქიძემ**, 128-ე საჯარო სკოლის ინგლისური ენის პედაგოგმა – „ინგლისური ენის შესწავლა იმპროვიზებულ თამაშებზე დაყრდნობით დაწყებით საფეხურზე“;

**ნინო არაბულმა**, 128-ე საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის მასწავლებელმა – „დიფერენცირებული სწავლება – მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ინოვაციური მეთოდი“;

**გულნაზ ხორბალაძემ**, 128-ე საჯარო სკოლის დირექტორმა, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა – „პრობლემაზე დაფუძნებული სტრატეგიები ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე VII კლასში“.

მეორე სექტორში საკონფერენციო თემებით წარდგნენ:

**ნატალია ქოჩლაძე**, 128-ე საჯარო სკოლის რუსული ენის პედაგოგი – „ჯგუფური მუშაობის სეგმენტური მეთოდის გამოყენება რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების პროცესში საბაზო-საშუალო საფეხურებზე“;

**დალი გულაია**, 128-ე საჯარო სკოლის ქიმიის მასწავლებელი – „მეტაკოგნიტური უნარების განვითარების სტრატეგიების გამოყენება ორგანული ქიმიის სწავლებაში საშუალო საფეხურზე“;

**ნინო გაბიტაშვილი**, გურჯაანის მუნიციპალიტეტის ვეჯინის საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი – „არჩევანი – შინაგანი მოტივაციის ამაღლების სტრატეგია“;

**ნანა ნაუაშვილი**, 128-ე საჯარო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი – „ეკოლოგიური პრობლემების სწავლება კვლევებით“;

**იამზე შინჯიკაშვილი**, გურჯაანის მუნიციპალიტეტის ვეჯინის საჯარო სკოლის რუსული ენის მასწავლებელი – „თავისუფალი კარნახი - წერითი მეტყველების განვითარების ერთ-ერთი ეფექტური მეთოდი“;

**თეა ძაგნიძე**, 128-ე საჯარო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი – „პროექტებით სწავლების როლი სასწავლო პროცესში“;

**ქეთევან სადრაძე**, 128-ე საჯარო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი – „კვლევაზე დაფუძნებული სწავლების გამოყენება ფიზიკის შესწავლის პროცესში“.

**გულნაზ ხორბალაძე**: *„დღევანდელი კონფერენციის თემაა პრობლემაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდები და მისი დანერგვა სასწავლო პროცესში. პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება ძალზე აქტუალური საკითხია და სწორედ ის მიჯნაა, რომელიც საკლასო რუტინას სახალისო პროცესად გადააქცევს. ზოგადად კონფერენციის ჩატარება რამდენიმე გარემოებას ეფუძნება: პირველი, მასწავლებლებს აქვთ მაღალი კომპეტენცია და პედაგოგების 80 პროცენტი სერტიფიცირებულია, გვყავს ორი დოქტორი წამყვანი პედაგოგის სტატუსით და უმრავლესობა უფროსი მასწავლებელია. ჩვენი პედაგოგები დაინტერესებული არიან სწავლების პროცესში ახალი ტექნოლოგიების დანერგვით. მეორე არის ის, რომ სკოლას სასწავლო პროცესში ინოვაციური მიდგომების დანერგვის გარკვეული გამოცდილება აქვს. მაგალითად, გარდა იმ საგნებისა, რასაც ეროვნული სასწავლო გეგმა განსაზღვრავს, ჩვენს სკოლაში ისწავლება: წიგნიერება, მედიაწიგნიერება, რაოდენობრივი წიგნიერება, სემიოტიკური წიგნიერება. გვაქვს სხვადასხვა არაფორმალური წრეები, სადაც ხდება მოსწავლეების ნიჭისა და უნარის განვითარება და ეს ყველაფერი, ერთმანეთთან კავშირში, ხელს უწყობს, ერთი მხრივ, ინტეგრირებული სწავლების დანერგვას, გაღრმავებას და მეორე მხრივ, ხელს გვიწყობს იმაში, რომ ბავშვები გახდნენ უფრო აქტიურები და სკოლა მთლიანად მოსწავლეზე ორიენტირებული იყოს.*

*თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გავაფორმეთ თანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც ორი ძირითადი მიმართულებით მუშაობას გულისხმობს. სამი წლის განმავლობაში უნდა მივიღოთ პედაგოგიური ფაკულტეტებიდან სტუდენტები და დავეხმაროთ პედაგოგიური პრაქტიკის ორგანიზებაში; თავის მხრივ, უნივერსიტეტმა უნდა გაგვიწიოს კონსულტაციები, მოგვცეს რჩევები როგორ განვავითაროთ სწავლა-სწავლების პროცესი, ჩავატაროთ ერთობლივი თეორიულ-პრაქტიკული კონფერენციები და სხვ.“*

**ქეთევან ჭკუასელი,** თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი: *„დღევანდელი კონფერენცია 128-ე საჯარო სკოლის პედაგოგების ინიციატივით ჩატარდა, რაც მისასალმებელია. დიდი მადლობა პედაგოგებს იმისთვის, რომ კონფერენციის ჩატარება ჩვენთან ერთად გადაწყვიტეს. ძალზე საინტერესო და საქმიანი მოხსენებები წარმოადგინეს. რამდენიმე წელია, ერთობლივად ვატარებთ კონფერენციებს, პედაგოგების მხრიდან დაინტერესება ძალიან დიდია.*

*აღსანიშნავია, რომ ბოლო სამი წელია კონფერენციის ცენტრალური, წამყვანი თემატიკა პროექტით სწავლებაა. ყოველი მეორე მასწავლებელი, საგაკვეთილო პროცესში, მუშაობს პროექტებით. ბავშვი ბუნებრივი აქტივობით ძალიან ბევრს სწავლობს, მაგრამ როგორც თეორია არ ვარგა უპრაქტიკოდ, ასევე არ ვარგა პრაქტიკა უთეორიოდ. სასწავლო პროცესი მხოლოდ პროექტი არ არის, პირველ რიგში, ის გაკვეთილია. როგორადაც არ უნდა ვაკრიტიკოთ გაკვეთილი, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში სწავლების ძირითად ფორმად მაინც გაკვეთილი რჩება, იმიტომ რომ ეკონომიურია, სხვა მიზანი მას არ აქვს – ერთი მასწავლებელი ასწავლის 30 ბავშვს. თუმცა, პროექტით სწავლებაც ძალიან კარგია, მით უმეტეს, როცა ის არ არის მხოლოდ ერთდღიანი. ვისურვებდი, შემდეგი კონფერენცია პროექტით სწავლებაზე ჩავატაროთ. ჩვენი უნივერსიტეტი მზადაა, მემორანდუმის და საბავშვო უნივერსიტეტის ფარგლებში, თუ რომელიმე სპეციალობის მასწავლებელს დასჭირდება პროფესიულ-პედაგოგიკური ან საგნობრივი დახმარება, გავუწიოთ კონსულტაციები.“*

**თამარ ქუთათელაძე,** 128-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი: *„დღევანდელი კონფერენციისთვის მოვამზადე თემა „პროექტებისა და კვლევების გამოყენების ეფექტურობა საბაზო-საშუალო საფეხურებზე“. მოგეხსენებათ, სწავლების პროცესი ხანგრძლივი, წინასწარ გაწერილი, ინოვაციებით დატვირთული და შედეგზე ორიენტირებული ქმედებაა, რომლის საბოლოო მიზანი, პირველ რიგში, პიროვნების სრულყოფა და ადამიანის მოქალაქედ ჩამოყალიბება უნდა იყოს. არაფერია იმაზე მნიშვნელოვანი, მასწავლებელმა განსაზღვროს, რა კონკრეტულ უნარს ავითარებს ბავშვში ამა თუ იმ დისციპლინის სწავლებაში. ყველა საგანი თავისებური და სპეციფიკურია, შესაბამისად, სასწავლო მიზანი სხვადასხვაა, თუმცა არ არსებობს საგანი, რომელიც მოზარდის მოქალაქედ ჩამოყალიბებას არ უწყობდეს ხელს. სწავლების პროცესში ერთნაირად მნიშვნელოვანია, მოსწავლემ შეძლოს ცოდნის მიღება, უნარების განვითარება და ადეკვატური დამოკიდებულებების ჩამოყალიბება. პროექტებით სწავლება, ანუ პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება მოსწავლეში, უპირველესად, პრობლემის გადაჭრის და შესაძლო გამოსავლის ძიების უნარს ავითარებს. სწორად დაგეგმილი ეს მეტად მნიშვნელოვანი აქტივობა მოზარდის მრავალმხრივ განვითარებას უწყობს ხელს.“*

**ნათია დარჩია**, 128-ე საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი: *„გაკვეთილის საინტერესოდ წარმართვა მასწავლებლის დამსახურებაა. მან ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლის განვითარებას ისეთი სწავლებით, რომელიც ითვალისწინებს ბავშვის ინტერესებს, საჭიროებას და განვითარების დონეს. ჩემი დიდი ბაბუა მასწავლებელი ყოფილა. თურმე, ბავშვს, რომელმაც გაკვეთილი არ იცოდა, ორიანისთვის ვერ იმეტებდა და „ეცადეს“ უწერდა, ამიტომაც მეტსახელად „ეცადე“ შეარქვეს. ეს „ეცადე“ დღესაც ახსოვთ და ამბადაც ჰყვებიან. ეს რომ მოვისმინე, ძალიან მომეწონა და დღეს, ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, ვხვდები როგორი ჰუმანური მიგნება იყო „ეცადე“.*

*მოსწავლე, პირველ რიგში, სიხარულით უნდა მიდიოდეს სკოლაში, სადაც ისეთი მასწავლებელი უნდა ეგულებოდეს, რომლის სიყვარულსა და მხარდაჭერასაც გრძნობს. დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მისი ცოდნა, განცდები, იმედები, მოლოდინები მნიშვნელოვანია მასწავლებლისთვის. ერთი „ეცადე“ უფრო მეტად მუშაობს, ვიდრე ათი ორიანი. „გამოვიჭიროთ“ მოსწავლე მაშინ, როცა კარგად იქცევა, როცა კარგადაა მომზადებული; დავურეკოთ, მივიწვიოთ და ვაცნობოთ მშობელს შვილის კარგი ქცევისა და წარმატების შესახებ, მოვსპოთ სტერეოტიპი, რომ მშობელს მაშინ იბარებენ, როცა მოსწავლე ცუდად იქცევა. ასეთი დამოკიდებულებით უნდა წავახალისოთ ჩვენი მოსწავლეები და მივცეთ სტიმული... დღეს თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიები იმის საშუალებას იძლევა, რომ სწავლება მასწავლებლისთვის საინტერესო პროცესად აქციოს, ხოლო მოსწავლისთვის სწავლა – სასიამოვნო პროცესად. ინტერნეტრესურსების გამოყენება, პროექტებით სწავლება, ჯგუფური მუშაობა, დიფერენცირებული სწავლება, კონსტრუქტივისტული მეთოდის, ვიზუალური სქემებისა და გრაფიკული ორგანიზატორების გამოყენება, თითოეული მოსწავლის ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინება, როლური თამაშები, სიტუაციის მოდელირება, საინტერესო კლასგარეშე აქტივობები და კიდევ სხვა უამრავი მეთოდის ერთიანობა მაქსიმალურად ოპტიმალურად წარმართავს სასწავლო პროცესს როგორც მასწავლებლისთვის, ისე მოსწავლისთვის. საშუალებას აძლევს პედაგოგს, შემოქმედებითად მიუდგეს ნებისმიერ საქმიანობას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა უნარების მაქსიმალურ გამომჟღავნებას.“*





**ლია ნადირაშვილი**, სიღნაღის მუნიციპალიტეტის ნუკრიანის მეორე სკოლის დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი: *„კონფერენციისთვის მოვამზადე თემა „იაკობი – პირველი საბავშვო პოეტი“. მიუხედავად იმისა, რომ იაკობი პირველი საბავშო პოეტია, რომელსაც 50 ლექსი აქვს დაწერილი, დედაენისთვის ლექსები სხვა ქართველ პოეტებს შეუკვეთა. თანამედროვე დედაენების უთვალავ რაოდენობაში თითქმის ვკარგავთ იაკობ გოგებაშვილის პოეზიას. 12 „დედა ენა“ განვიხილე, აღმოჩნდა, რომ თორმეტივე სახელმძღვანელოში საძებნია იაკობის ლექსები. ეს ლექსები მხოლოდ უძველეს, პირველ ბეჭდურ, 1876 წლის, დედაენაშია. იაკობის ორმოცდაათივე ლექსი ამოვკრიბე და ერთ ხელნაწერ წიგნად შევკარი. გავანაწილე თვითონ იაკობის ტერმინოლოგიით – სწავლის მოყვარული ლექსები, ღვთისმეტყველური ლექსები, ბუნებისმოყვარული ლექსები და გარითმული პროზა.*

*1891 წელს დიდ პედაგოგს მგოსანი აკაკი „დედა ენის“ თანამშრომლად მიუწვევია. იაკობ გოგებაშვილს არ აკმაყოფილებდა საკუთარი და მის მიერვე თარგმნილი ლექსების მხატვრული ღირებულება და აკაკისთვის – პოეზიის იალბუზისთვის – „დედა ენის“ მასალაზე ახალი ლექსების დაწერა უთხოვია, თანამშრომლად მიუწვევია. აკაკის პირველი „დედა ენა“ რომ წაუკითხავს, იაკობისთვის შეუთვლია: „ძმაო იაკობ, ჩიქორთული ენით ლექსების წერას თავი დაანებე, ეგ საქმე მე მომანდე, შენ პროზის დიდოსტატი ხარ და წერე საბავშვო მოთხრობები“. მართლაც იაკობს გაუთვალისწინებია აკაკის რჩევა და თავისი 20 ლექსი აკაკისთვის ხელახლა გადასალექსად გაუგზავნია.*

*ჩემ მიერ შედგენილ კრებულში, რომელსაც „იაკობის და აკაკის საზიარო პოეზია“ დავარქვი, ოცივე ლექსის ნიმუში შევიტანე. აკაკის გადაულექსავს ლექსები, თუმცა საბოლოო სახე მაინც იაკობ გოგებაშვილს მიუცია. ასე რომ, ეს ლექსები მაინც იაკობ გოგებაშვილისაა. მაგრამ დღევანდელ დედაენაში „ვაშლი და შაქარა“ აკაკი წერეთლის სახელით შემოგვრჩა. იაკობმა თავისი 50 ლექსიდან მხოლოდ 8 ლექსზე მისცა აკაკის ავტორობა („გაზაფხული“, „მახეში გაბმული ჩიტი“, „ყანა“, „თხა“, „კატა“, „შრომა“, „ჩიტი გალიაში“, „ეფერებოდეთ ობლებსა“). ნაშრომში ასევე შეტანილი მაქვს ინფორმაცია „დედა ენის“ მხატვრების შესახებ. ესენი არიან: გრიგოლ ტატიშვილი, რომელმაც მოხატა „დედა ენა“, ალექსანდრე მრევლიშვილი, ოსკარ შმერლინგი, მიხეილ საბინინი, მოსე თოიძე, ალექსანდრე ბერიძე, გიგო გაბაშვილი, ალექსანდრე როინიშვილი (ფოტოგრაფი). ჩემი სურვილია, ჩემ მიერ შეკრებილი იაკობის ლექსები ერთ წიგნად გამოვცე.“*

საგანმანათლებლო კვლევები

# განათლების პოლიტიკის განსაზღვრის ეფექტური ინსტრუმენტი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ ჟურნალისტებისთვის TIMSS-ისა და PISA-ს საერთაშორისო კვლევებისა და სახელმწიფო შეფასების შედეგების პრეზენტაცია გამართა. 2015-2016 წელს ჩატარებული კვლევები სწავლის შედეგებს, დინამიკასა და იმ ფაქტორებს უკავშირდება, რაც გავლენას ახდენს მოსწავლეთა მიღწევებზე.

საერთაშორისო კვლევების თანახმად, მათემატიკასა და ბუნებისმეტყველებაში საქართველოს 2015 წლის შედეგები, წინა წლებთან შედარებით, გაუმჯობესებულია. თუმცა, პოზიტიური დინამიკის მიუხედავად, საქართველოს შედეგი საერთაშორისო საშუალო ნიშნულს ვერ აღწევს.

*„მთავარი, რაზეც უნდა დავფიქრდეთ, არის ის, თუ რატომ დადგა ასეთი შედეგები და კონკრეტულად რა უნდა გავაკეთოთ ამ შედეგების გაუმჯობესებისათვის. პირველი ნაბიჯი ამ პროცესში იყო მედიასთან შეხვედრა,* – განაცხადა მინისტრმა, – *მომდევნო ერთი თვის განმავლობაში, კვლევების შედეგების გაანალიზებისათვის და სამომავლოდ სამოქმედო გეგმის დასახვისათვის, დაგეგმილია აქტიური მუშაობა. ივნისში გაიმართება კონფერენცია, სადაც ერთთვიანი მუშაობის შედეგები შეჯამდება და კონკრეტული სამოქმედო ნაბიჯები დაიგეგმება.“*

პრეზენტაციისას მინისტრმა ყურადღება გაამახვილა მოსწავლეთა მიღწევების განსხვავებაზე. ეროვნულმა კვლევამ მნიშვნელოვანი პრობლემები აჩვენა ამ კუთხით – სოფლის სკოლებს უარესი შედეგები აქვთ, ვიდრე ქალაქის სკოლებს, საჯარო სკოლების მოსწავლეთა შედეგები ჩამორჩება კერძო სკოლის მოსწავლეთა შედეგებს, არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეთა შედეგები – ქართულენოვანი სკოლის მოსწავლეთა შედეგებს. *„სამწუხაროა ის დიდი განსხვავებები, რაც ქვეყნის შიგნით ჩანს. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ძალიან ოპერატიულად გვაქვს ყურადღება გასამახვილებელი ამ საკითხებზე. კვლევების მომდევნო ციკლისთვის, ჩვენ გვაქვს პერიოდი, რომელიც სათანადოდ უნდა გამოვიყენოთ, რომ შემდგომი კვლევის შედეგები უკეთესი იყოს.“*



საინტერესოა, რომ სახელმწიფო შეფასების კვლევის შედეგების თანახმად, პედაგოგთა სერტიფიცირების მაჩვენებელი პირდაპირ გავლენას არ ახდენს სწავლის ხარისხზე. მინისტრის თქმით, იმ სკოლებში, სადაც პედაგოგთა, დაახლოებით, 60% სერტიფიცირებულია, სკოლაში არსებული სიტუაცია რადიკალურად არ განსხვავდება იმ სკოლის შეფასების მაჩვენებლისგან, სადაც სერტიფიცირებულთა რაოდენობა 20%-ია. სამაგიეროდ, სკოლებში სადაც მასწავლებლები მოტივირებულნი არიან, განსხვავებული შედეგებია იმ სკოლებთან შედარებით, სადაც მასწავლებლები დემოტივირებულები არიან. ამიტომ, მინისტრის დაპირებით, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მასწავლებელთა მოტივაციის ზრდას.

*„ასევე ძალიან სუსტი კავშირია სწავლის ხარისხსა და სკოლის ინფრასტრუქტურას შორის. ბავშვები, პრინციპში, ერთნაირად სწავლობენ იმ სკოლებში, რომლებიც გუშინ გარემონტდა და იქაც, სადაც რემონტი 10 წელია არ ჩატარებულა. რა თქმა უნდა, სკოლა უნდა გაარემონტო და მიხედო, მაგრამ გარემონტება სწავლის ხარისხის ავტომატურად გაუმჯობესებას არ ნიშნავს,“* – აღნიშნა ალექსანდრე ჯეჯელავამ.

საერთაშორისო და სახელმწიფო შეფასებები ქვეყნებს საშუალებას აძლევს, საკუთარ საგანმანათლებლო შედეგებს გაეცნონ და გააანალიზონ. აღნიშნულ შედეგებზე ფართო მსჯელობის ორგანიზებას განათლების სამინისტრო, უახლოეს პერიოდში, მედიასთან და საზოგადოების დაინტერესებულ ჯგუფებთან გეგმავს. მსჯელობაში მონაწილეობას მიიღებენ: სკოლის დირექტორთა საბჭო, მასწავლებელთა პროფკავშირი და დარგობრივი გაერთიანებები, უმაღლესი სასწავლებლები და არასამთავრობო ორგანიზაციები.

**TIMSS-ის საერთაშორისო კვლევა** ყოველ ოთხ წელიწადში ტარდება და მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნებში მოსწავლეთა მიღწევებს იკვლევს, ასევე კვლევაში ასახულია ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს ამ საგნების სწავლისა და სწავლების პროცესზე. 2015 წლის შედეგებით, ქართველი მოსწავლეების მიღწევები არსებითად ჩამორჩება TIMSS-ის საერთაშორისო საშუალო ნიშნულს როგორც მე-4, ისე მე-8 კლასში. კვლევაში მონაწილე ქვეყნების საშუალო ნიშნული 500 ქულაა, საქართველოსი – 450.

მეოთხეკლასელ მოსწავლეთა 22% და მერვეკლასელთა 28% მათემატიკაში მინიმალურ ცოდნასაც არ ფლობს. ბუნებისმეტყველებაში იგივე შედეგი მეოთხეკლასელ მოსწავლეთა 26%-ს და მერვეკლასელთა 30%-ს აქვს. დაწყებით საფეხურზე მათემატიკის სწავლა-სწავლებაში არსებული ხარვეზები, საბაზო საფეხურზე ახალი ცოდნის შეძენის პროცესში დამატებით ბარიერებს ქმნის.

საქართველომ კვლევის სამ ციკლში (2007, 2011, 2015 წლები) მიიღო მონაწილეობა. 2015 წელს TIMSS-ის კვლევაში 153 სკოლის 9000-ზე მეტი მოსწავლე იყო ჩართული.

**PISA საერთაშორისო კვლევაა**, რომელიც მიზნად ისახავს შეაფასოს 15 წლის მოზარდების მიერ სკოლაში შეძენილი ცოდნა და უნარები. ეს ის ასაკია, როცა მოსწავლეები თითქმის ასრულებენ სავალდებულო განათლების კურსს. შესაბამისად, PISA ამოწმებს მათ მზაობას, გაუმკლავდნენ ყოველდღიურ გამოწვევებს იმ ცოდნისა და უნარების გამოყენებით, რომლებიც სკოლაში მიიღეს.

PISA-ს მიზანს არ წარმოადგენს, შეამოწმოს, თუ რამდენად კარგად აითვისეს მოსწავლეებმა უშუალოდ სკოლის პროგრამა, არამედ მიმართულია განსაზღვროს, რამდენად კარგად არიან მოსწავლეები მომზადებულები საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური და სრულფასოვანი ჩართულობისათვის.

PISA 2000 წლიდან, 3 წელიწადში ერთხელ, ტარდება და ცოდნას სამ სფეროში ამოწმებს: კითხვა, მათემატიკა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები.

2015 წლის შედეგების მიხედვით, მათემატიკასა და ბუნებისმეტყველებაში საქართველოს მოსწავლეთა მიღწევის საშუალო მაჩვენებელი დაბალია. მოსწავლეთა ნახევარი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში საბაზო კომპეტენციებს არ ფლობს. კვლევაში მონაწილე ქვეყნების საშუალო მაჩვენებელი 490 ქულაა, საქართველოსი – 404.

საქართველო კვლევაში 2009 წლიდან მონაწილეობს. 72 ქვეყანაში ჩატარდა PISA 2015, დაახლოებით 540 000 მოსწავლე წარმოადგენდა თავის ქვეყანას, საქართველოდან 263 სკოლის 6000-ზე მეტი ქართველი მოსწავლე მონაწილეობდა. მომდევნო ციკლი 2018 წელს იგეგმება.

**სახელმწიფო შეფასება** აჩვენებს, რომ დაგეგმილ და მიღწეულ ეროვნულ სასწავლო გეგმას შორის არსებითი სხვაობაა. მე-9 კლასში ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნების დაძლევას, მინიმალურ დონეზე, მათემატიკაში, მოსწავლეთა 30.3% ვერ ახერხებს, ფიზიკაში – 34,8%, ქიმიაში – 49,1%, ხოლო ბიოლოგიაში – 13,3%.

კვლევამ განსაკუთრებით დაბალი შედეგი აჩვენა იმ დავალებების შესრულებაში, რომლებიც მსჯელობას და პრობლემის გადაჭრის უნარს მოითხოვს.

სწავლის თანაბარი შესაძლებლობის თვალსაზრისით, კვლევით დგინდება, რომ მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში სოფლად მცხოვრები მოსწავლეების მიღწევები არსებითად ჩამორჩება ქალაქში მცხოვრები თანატოლების მიღწევებს. თვალსაჩინოა კერძო სკოლის მოსწავლეების უპირატესობა, საჯარო სკოლის მოსწავლეებთან მიმართებაში.

სახელმწიფო შეფასების მიღწევის ტესტი სრულად ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შესაბამისად, საშუალებას გვაძლევს გავაანალიზოთ და შევადაროთ ერთმანეთს ის, რაც დავგეგმეთ, დავისახეთ მიზნად (ეროვნული სასწავლო გეგმა) და რასაც მივაღწიეთ (მოსწავლეთა სწავლის შედეგები – მიღწეული ეროვნული სასწავლო გეგმა).

კვლევის პირველი ეტაპი 2015-2016 წლებში ჩატარდა, მონაწილეობდა 16 000 მოსწავლე, 15 000 მშობელი და 1000 მასწავლებელი.

სახელმწიფო შეფასება **ეროვნული მასშტაბით** არსებული სურათის შესწავლაზეა ორიენტირებული, საერთაშორისო კვლევები კი – ქვეყნის შედეგების **გლობალურ კონტექსტში** შეფასების საშუალებას იძლევა. მონაწილე ქვეყნებს შეუძლიათ, შეადარონ მოსწავლეთა მიღწევების დონე საერთაშორისო სტანდარტებს, გააანალიზონ, თუ რა ზეგავლენას ახდენს სხვადასხვა საგანმანათლებლო სისტემაში არსებული პოლიტიკა, სასწავლო გეგმები, სწავლების მეთოდიკა თუ საგანმანათლებლო რესურსები მოსწავლეთა მიღწევებზე; ამასთან, მკაფიოდ ავლენს ამა თუ იმ ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემაში არსებულ ხარვეზებს და კარგ საფუძველს ქმნის იმის გადასაწყვეტად, რა და რატომ არის შესაცვლელი თუ დასახვეწი სწავლების პროცესში.

სახელმწიფო და საერთაშორისო შეფასებებს, საქართველოში, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი უძღვება. ცენტრში დეტალურად აანალიზებენ კვლევების შედეგებს. ჩვენ დავინტერესდით, როგორია ანალიზის შედეგად გამოვლენილი მიღწევათა დინამიკა, ძირითადი მაჩვენებლები და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის კვლევისა და საგნობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელს, **ია კუტალაძეს** ვთხოვეთ,ზოგადად შეეფასებინა საერთაშორისო და სახელმწიფო კვლევების შედეგები.

*„საერთაშორისო შეფასებები ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სასკოლო განათლების სისტემის გლობალურ კონტექსტში შეფასების საშუალებას გვაძლევს. ეს კვლევები გარკვეული პერიოდულობით ტარდება. ჩვენ, უკვე, სამ ციკლში გვაქვს მონაწილეობა მიღებული და შესაბამისად, შეგ-*



*ვიძლია მოსწავლეთა მიღწევები დინამიკაში შევაფასოთ.*

*2007 წლიდან 2015 წლამდე მოსწავლეთა მიღწევები უმჯობესდება როგორც მათემატიკაში, ასევე საბუნებისმეტყველო საგნებში. ეს ძალიან პოზიტიური დინამიკაა და აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ. თუმცა, აქვე, ისიც უნდა ვთქვათ, რომ მიუხედავად ასეთი პოზიტიური დინამიკისა, ჩვენი მოსწავლეების საშუალო მიღწევები, TIMSS-ის სტანდარტულ სკალაზე, საშუალო ნიშნულზე დაბალია. მიუხედავად პოზიტიური დინამიკისა, ჩვენ, პრინციპში, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისა და სწავლების კვლევაში მაინც სერიოზული გამოწვევების წინაშე ვართ, მნიშვნელოვანია წილი იმ მოსწავლეებისა, რომელთაც მინიმალური კომპეტენციებიც კი არ აქვთ ამ საგნებში. ამასთან გამოხატულია ტენდენცია, რომ მეოთხე კლასიდან მიღწევები უარესდება, მერვეკლასელების მიღწევები, ამ სტანდარტულ სკალაზე, უფრო დაბალია.*

*რაც შეეხება პოზიტიურ დინამიკას, უნდა ითქვას, რომ ეს კვლევა არ არის ერთადერთი, რომელიც ამას ადასტურებს. PIZA, ძალიან მნიშვნელოვანი საერთაშორისო კვლევაც, 2009-10 წლის კვლევასთან შედარებით, ასევე გვიჩვენებს მიღწევების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას. მიუხედავად ამისა, ძალიან დიდია წილი იმ მოსწავლეებისა, რომელთაც საბაზო კომპეტენციები არ გააჩნიათ მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნებში.*

*მართალია საერთაშორისო კვლეები ამ ორ უმნიშვნელოვანეს, ფუნდამენტურ სფეროში გაუმჯობესების პოზიტიურ დინამიკას გვიჩვენებს, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ გაუმჯობესების ტემპი დაბალია, რადგან, საბოლოო ჯამში, ორივე კვლევა გვიჩვენებს, რომ კრიტიკული მასა მოსწავლეებისა, რომლებსაც საბაზო კომპეტენციები არ აქვთ, მაღალია. ამას აუცილებლად სჭირდება ძალიან სერიოზული ანალიზი და სკოლებს – მხარდაჭერა, რომ მინიმალურ, საბაზო დონეზე მაინც, ყველა მოსწავლემ დაძლიოს ის, რისი ცოდნაც ან რა უნარების ფლობაც ეროვნული სასწავლო გეგმითაა განსაზღვრული.*

*საერთაშორისო შეფასებების პარალელურად, ვატარებთ სახელმწიფო შეფასებებს, რომელიც უფრო კონცენტრირებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებზე, ვაფასებთ იმას, რა დაიგეგმა, რას მივაღწიეთ იმ მოთხოვნებთან მიმართებაში, რაც ეროვნული სასწავლო გეგმითაა განსაზღვრული.*

*მათემატიკის სახელმწიფო შეფასება გვიჩვენებს, მეცხრე კლასში, მოსწავლეების 30%, მინიმალურ საბაზო კომპეტენციებს მათემატიკაში არ ფლობს. უფრო დრამატული შედეგი გვაქვს ქიმიაში, შემდეგ – ფიზიკაში და შედარებით დამაიმედებელი – ბიოლოგიაში.*

*მთავარი და მნიშვნელოვანია ის, რომ ეს კვლევა არ არის ორიენტირებული მხოლოდ მიღწევების შეფასებაზე. თუმცა, თავისთავად, ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანია, ავსახოთ რეალური ვითარება, გვქონდეს გარკვეული ტიპის დიაგნოსტიკური სურათი, მაგრამ გაცილებით მნიშვნელოვანია იმის გაანალიზება, რატომ გვაქვს ასეთი შედეგი, ასევე, რა ფაქტორები ახდენენ პოზიტიურ გავლენას მოსწავლეთა მიღწევებზე, რა ფაქტორები პირიქით – არახელსაყრელ პირობებს ქმნიან და ა.შ. შესაბამისად, ამ კვლევებში – საერთაშორისო შეფასებაშიც და სახელმწიფოშიც – ხდება სწავლა-სწავლების კონტექსტის ანალიზი. ეს კონტექსტი – გარემოს ანალიზი – სხვადასხვაგვარია. მაგალითად, ოჯახს, რომელთანაც ბავშვს ფუნდამენტური კავშირი აქვს, ნამდვილად ძალიან დიდი გავლენა აქვს არა მხოლოდ აღზრდის პროცესზე, არამედ სწავლა-სწავლების პროცესზეც. უმნიშვნელოვანესია, რომ ეს ფაქტორები კარგად იყოს გაანალიზებული.*

*მეორე მნიშვნელოვანი კონტექსტია სკოლა – სასკოლო გარემოში არსებული ვითარება, სასკოლო რესურსები, ვთქვათ ლაბორატორიების არსებობა, კვალიფიციური პედაგოგების რაოდენობა, თვითონ კლასი (რადგან უშუალო გარემო, სადაც ბავშვი სწავლობს, კლასია, სკოლა ცოტა უფრო ზოგადი გარემოა, მიუხედავად იმისა, რომ არსებითადაა დაკავშირებული მოსწავლესთან), კლასში მოსწავლეთა მოტივაცია, ჩართულობა, მასწავლებლის მიერ გამოყენებული სწავლების სტრატეგიები, კონკრეტული კლასის მასწავლებლის კვალიფიკაცია და ა.შ. – ეს ყველაფერი კავშირშია მოსწავლეთა მიღწევებთან და ყველა ამ ფაქტორს ვაანალიზებთ.*

*ახლა, ფაქტობრივად, ხუთ ანალიზზე ვმუშაობთ, მათ შორის ორი საერთაშორისო შეფასების ანგარიშია, რომელიც მაისის ბოლოს მზად იქნება. ეს არის PIZA-სა და TIMSS-ის მათემატიკური ნაწილის ანგარიში, ასევე, ვამზადებთ სახელმ-*

## საგანმანათლებლო კვლევები

*წიფო შეფასებების ანგარიშს ბუნებისმეტყველებაში და იქ უფრო დეტალურად იქნება ყველაფერი განხილული.*

*ერთი თემა, რომელიც მკაფიოდაა გამოკვეთილი, მოსწავლეთა მიღწევების განსხვავებაა, ე.წ. თანასწორობის ინდიკატორების მიხედვით. ბოლო პერიოდში ჩატარებული ყველა კვლევა, ასევე წინა პერიოდის კვლევები, მკაფიოდ და თვალსაჩინოდ გამოკვეთს იმ ფაქტს, რომ სოფლის სკოლის მოსწავლეების მიღწევები უფრო დაბალია, ვიდრე ქალაქის და კერძო სკოლის მოსწავლეთა მიღწევები უფრო მაღალია, ვიდრე საჯარო სკოლის. ამ დროს, სასკოლო განათლების მიზანია, რომ მან უზრუნველყოს თანასწორობა განათლებაში, რომ ყველას ჰქონდეს თანაბარი ხელმისაწვდომობა კარგ, ხარისხიან განათლებაზე. ეს სხვაობა ქალაქისა და სოფლის სკოლებს შორის არ არის განპირობებული ბუნებრივი სხვაობებით, როგორც კვლევის ანალიზი აჩვენებს, განპირობებულია იმით, რომ, მაგალითად, სოფლის მოსწავლეს უფრო ნაკლებ რესურსზე მიუწვდება ხელი როგორც სკოლაში, ასევე ოჯახში. ყველაზე მარტივი ინდიკატორი რომ ავიღოთ, მაგალითად, სახლში წიგნების რაოდენობა, ნახავთ, რომ განსხვავება ძალიან მნიშვნელოვანია. თითქოს ასეთი ფორმალური მახასიათებელი (თუმცა, ეს სულაც არ არის ფორმალური) რეალურად ასოცირდება მოსწავლეთა მაღალ მიღწევებთან.*

*ამ ეტაპზე, ჩვენი სამუშაო ამ ფაქტორების ძალიან დეტალური ანალიზია. მოხარული ვართ, რომ საზოგადოება ინტერესს იჩენს ამ საკითხების მიმართ. მთავარი და მნიშვნელოვანია, რომ სასკოლო განათლების სისტემაში განხორციელდეს ისეთი ცვლილებები, რომლებიც მსგავს კვლევებს დაეფუძნება და არ იქნება ერთი-ორი, თუნდაც რამდენიმე ექსპერტის შეხედულებაზე დაფუძნებული. ზოგადად, კვლევები იმისთვის ტარდება, რომ სასკოლო განათლებაში სწორი პოლიტიკა განისაზღვროს და ინფორმირებული გადაწყვეტილება იქნეს მიღებული. ეს კვლევები მნიშვნელოვანი ინსტრუმენტებია პოლიტიკის განსაზღვრისთვის და იმედი გვაქვს, ეფექტურად იქნება გამოყენებული შედეგების გასაუმჯობესებლად.“*

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს“ მხარდაჭერით, 3-4 ივნისს, მართავს კონფერენციას, რომელზეც წარმოდგენილი იქნება კვლევის ძირითადი მიგნებები. კონფერენციის მიზანია სასკოლო განათლების სისტემაში მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლა-სწავლებაში არსებული ვითარების შესახებ საზოგადოებისა და განათლების პოლიტიკის განმსაზღვრელთა ინფორმირება, ფართო დიალოგის ინიცირება განათლების ხარისხისა და სწავლის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად.

**მოამზადა ლალი თვალაბეიშვილმა**

## ინფორმაცია

# NASA–ს კოსმოსური ცენტრის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე პირველი ქართველი მოსწავლეები



წმ. ალექსი შუშანიას სახელობის სენაკის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის მერვეკლასელები – **ალექსი ტყებუჩავა, ნათია შამათავა, დეა ჩიტაია, ლიკა კოკაია** და **გვანცა ჩიქოვანი** ათასწლეულის ინოვაციის კონკურსის (Millennium Innovations Award — MIA) წლევანდელი გამარჯვებულები გახდნენ. Smart Kids-ის (ასე ერქვა მათ გუნდს) გამოგონება – „გეოლოგიური საფრთხეები“, რომელიც 13 ფინალისტ გუნდს შორის შეირჩა, წარმოადგენს შეტყობინების სისტემას მეწყერსაშიში ზონებისთვის და მიზნად ისახავს სტიქიური მოვლენების, მსხვერპლისა და ეკონომიკური ზარალის თავიდან აცილებას.

ინოვაციური ხელსაწყოს შექმნაზე მოსწავლეები მენტორთან, **უტა კილასონიასთან** ერთად, თითქმის 2 თვის განმავლობაში, მუშაობდნენ. *„მეწყერის პროგნოზირების ინოვაციური ხელსაწყოს შექმნა, რომელსაც ანალოგი არ აქვს, 10 000 ლარი დაჯდება, მაშინ როდესაც სხვა მსგავსი ხელსაწყოები მილიონები ჯდება. მას შემდეგ, რაც ხელსაწყოს დავაპატენტებთ, თუ მოთხოვნა იქნება, ჩვენ თვითონაც შევძლებთ მის დამზადებას.“* – ამბობს უტა კილასონია.

ასეთი სისტემის აწყობა, წარმოება და დანერგვა საქართველოში მარტივად შესაძლებელია, რაც ცხადია, ხარჯეფექტიანია სახელმწიფოსთვის და რაც მნიშვნელოვანია, აპარატის ანალოგი არ არსებობს. სენაკელი მოსწავლეების მიერ შექმნილმა სენსორულმა აპარატმა უკვე დიდი დაინტერესება გამოიწვია მეცნიერთა შორის. მისი უსასყიდლოდ გადაცემა და დანერგვა განსაზღვრულია ნოქალაქევის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიაზე.

მოსწავლეებს მეწყერის პროგნოზირების ხელსაწყოს შექმნის იდეა მას შემდეგ მოუვიდათ, რაც 2016 წლის აგვისტოში მოვარდნილმა წყალდიდობამ და ღვარცოფმა სენაკს დიდი ზარალი მიაყენა და წმ. ალექსი შუშანიას სახელობის სენაკის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის მისასვლელი საავტომობილო გზა და ხიდი ჩაანგრია.

ინოვაციური ხელსაწყოს შემქმნელები ამერიკაში ჰიუსტონის კოსმოსურ ცენტრს სტუმრობენ. ქართველი მოსწავლეები NASA-ს კოსმოსური ცენტრის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამას გადიან. ისინი ამ საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე პირველი ქართველები არიან. Space Center University-ის ერთკვირიანი ინტენსიური სასწავლო პროგრამა პირველი მაისიდან დაიწყო.

პროგრამის პირველ დღეს, NASA Johnson Space Center-ს ესტუმრნენ, სადაც ასტრონავტების საწვრთნელი ბაზა დაათვალიერეს. მეორე დღეს, სხვა ქვეყნის მოსწავლეებთან ერთად, შეჯიბრში ჩაერთნენ და საკუთარი გამოგონებებისთვის პირველი და მესამე ადგილები მოიპოვეს. ქართველმა მოსწავლეებმა ასევე დაათვალიერეს ტრენინგცენტრი, სადაც ასტრონავტები, კოსმოსში გაფრენამდე, NASA-ს ყველაზე დიდ აუზში გადიან სწავლებას. მათ თვალწინ წყალქვეშა ტრენინგს გადიოდნენ NASA-ს შემდეგი მისიის ასტრონავტები. Smart Kids-ის წევრებმა აკვალანგით ცურვის ტრენინგიც გაიარეს.

სენაკელ მერვეკლასელებს ჰიუსტონში ამერიკის ხმის ქართული რედაქციის ჟურნალისტი **ნანა საჯაია** ესაუბრა. Smart Kids-ის გულშემატკივრებს, საქართველოში, ამ საუბრის ნახვა ფეისბუქ ლაივით შეეძლოთ.



### როგორ მოხვდნენ ამ პროექტში

ლიკა კოკაია: *„ჩვენ მონაწილეობა მივიღეთ ათასწლეულის ინოვაციის კონკურსში. იქ ძალიან ბევრი ძლიერი გუნდი იყო. სიმართლე გითხრათ, სამეულში გასვლას ველოდით, მაგრამ პირველ ადგილზე რომ გავიდოდით, ნამდვილად არ გვეგონა. ძალიან გაგვიკვირდა და დიდი ემოციებით შევხვდით შედეგის გამოცხადებას. როდესაც სცენაზე ავედით, კიდევ არ გვქონდა გააზრებული, რომ გავიმარჯვეთ და პირველ ადგილზე გავედით. ჩვენ გვერგო წილად, ჩამოვსულიყავით NASA-ს კოსმოსურ ცენტრში და გაგვევლო ერთკვირიანი სასწავლო პროგრამა.“*

### რა გამოგონება ჩაიტანეს ჰიუსტონში

ნათია შამათავა: *„ჩვენი ხელსაწყოს სახელწოდებაა „შეტყობინების სისტემა მეწყერსაშიში ზონებისათვის“, რომლის მიზანია, მეწყერის მოახლოების დროს, შეტყობინებების დაგზავნა, რომ მეწყერია მოსალოდნელი. ხელსაწყოს ერთ-ერთი მთავარი მიზანია, თავიდან ავიცილოთ ადამიანების სიკვდილიანობა.*

*ხელსაწყოს მუშაობის პრინციპი შემდეგია: გამოყენებული გვაქვს ჰოლის სენსორი და ასევე მაგნიტები. მაგნიტი მაგრდება ნიადაგის ზედაპირზე, სენსორი – მასზე მოშორებით. ჰოლის სენსორი ნიადაგში წარმოქმნილ რხევებს ქანებზე ძალიან მძიმედ აღიქვამს. რადგან ნიადაგში ყოველთვის შეინიშნება მცირედი პუნქტუაციები, დავაწესეთ ზღვარი, რომლის გადაჭარბების შემთხვევაში, მოსახლეობასთან იგზავნება SMS-ები. მონაცემები გადაეცემა როგორც ცენტრალურ სერვერს, ასევე პლანშეტებში ჩატვირთულ აპლიკაციებსაც. მონაცემების შესაყვანად შეიქმნება ბაზა, რაოდენობას მნიშვნელობა არ აქვს, მეწყერსაშიში რეგიონის მოსახლეობა მთლიანად იქნება შეყვანილი ჩვენს ბაზაში.“*

### სად დაამონტაჟებენ ხელსაწყოს

ალექსი ტყებუჩავა: *„ჩვენ ამაზე ბევრი ვიფიქრეთ და გადავწყვიტეთ, რომ დაგვემონტაჟებინა ნოქალაქევის ტერიტორიაზე, რადგან ეს მეწყერსაშიში ზონაა. არ გვინდა, მოსახლეობას ცრუ ინფორმაცია მივაწოდოთ და შევაწუხოთ SMS-ებით – მეწყერია და დატოვეთ ტერიტორია. ეს პრობლემა რომ ავიცილოთ თავიდან, გადავწყვიტეთ, კონსულტაცია გაგვევლო გეოლოგებთან, რის შედეგადაც რეალურ ზღვარს დავადგენთ, შემდეგ უკვე მუშა პროცესი დაიწყება და დავამონტაჟებთ ხელსაწყოს. მოგვიანებით, ჩვენი პროექტი სხვა რეგიონებშიც შეგვიძლია განვახორციელოთ.“*

### რა შექმნეს, როგორც კონკურსების მონაწილეებმა, ჰიუსტონში

გვანცა ჩიქოვანი: *„გუშინ გაიმართა ორი სახის კონკურსი, ჩვენთან ერთად, სხვა ქვეყნებიდან ჩამოსული ჩვენი თანატოლებიც მონაწილეობდნენ. ერთ-ერთი პროექტით პირველ ადგილზე გავედით, მეორე პროექტით – მესამე ადგილზე. ერთ შემთხვევაში, შევქმენით ჯავშანი, რომელიც სხეულს ან ნივთს მაღალი ტემპერატურისგან იცავს, მეორე პროექტის ფარგლებში – ჯავშანი, რომელიც დაბალი ტემპერატურისგან იცავს. სწორედ ამ პროექტებით გავედით პირველ და მესამე ადგილებზე.“*

### საგანმანათლებლო პროგრამა

დეა ჩიტაია: *„გვიტარდება ერთკვირიანი სასწავლო პროგრამა, უცხოელ ბავშვებთან ერთად, რაც ჩვენთვის ძალიან საინტერესოა. ვესწრებით როგორც სასწავლო პროცესს, ასევე ვათვალიერებთ NASA-ს ლაბორატორიებსა და მუზეუმებს. ვნახულობთ ისეთ ადგილებს, სადაც ჩვეულებრივი დამთვალიერებელი ვერ შეაღწევს და ვერ შეიგრძნობს ისეთ სიამოვნებას, რაც ჩვენ გვხვდა წილად.“*

* * *

პირველივე დღე ჰიუსტონში საკონკურსო დავალებებით დატვირთული იყო. კოსმოსური ცენტრის უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ, მოსწავლეებს შესაბამისი დიპლომები გადაეცათ.

ალექსი, ნათია, დეა, ლიკა და გვანცა ჰიუსტონში კვირის ბოლომდე დარჩებიან, კიდევ ბევრ საინტერესო სიახლეს გაეცნობიან და სამშობლოში ახალი იდეებით დატვირთულები დაბრუნდებიან. ეს იდეები კი, სამომავლოდ, ახალ პროექტებს დაედება საფუძვლად.

*მოამზადა*
**ლალი თვალაბეიშვილმა**

სასკოლო აქტივობა

# ᲐᲦᲓᲒᲝᲛᲘᲓᲐᲜ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲐᲛᲓᲔ

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხორნაბუჯის საჯარო სკოლის დირექტორი **ნელი აფციაური** ღიმილით ეგებება სააქტო დარბაზში სპეციალურად მოწვეულ სტუმრებს. დარბაზი სავსეა მშობლებით, მოსწავლეებით და პედაგოგებით. სცენას სხვადასხვა ასაკის ბავშვები იკავებენ. პედაგოგი **მზია მეხრიშვილი**, მოსწავლეებთან ერთად, სანთლებით ხელში დგას სცენაზე და აღდგომის დღესასწაულს ულოცავს ყველას. ღონისძიება რუსულ ენაზე წარიმართა, რადგან ეს რუსული სექტორის მოსწავლეების ზეიმი გახლდათ. რუსმა ხალხმა აღდგომის დღესასწაულის აღნიშვნა ბევრად უფრო მასშტაბურად და სადღესასწაულოდ იცის, ვიდრე ეს რომელიმე ერშია. ღონისძიებაც ამას ცხადჰყოფდა.

სკოლას ლამაზი დღე I, III, IV კლასების მოსწავლეებმა აჩუქეს, რომელსაც მათი პედაგოგები: **მზია მეხრიშვილი, ირინა ალუღიშვილი** და ღვაწლმოსილი პედაგოგი **ნინა ხარაშვილი** უძღვებოდნენ. ირინა ალუღიშვილი მუსიკალურად აფორმებდა საღამოს. სწორედ მისი აკომპანემენტის დახმარებით შეასრულეს მოსწავლეებმა სააღდგომო რუსული სიმღერები. „ქრისტე აღსდგა მკვდრეთით“ იგალობეს ამავე სკოლის უფროსკლასელებმა: **აბრამ ხარაშვილმა, გიორგი ჯანაშვილმა** და **გიორგი ალადაშვილმა**. საღამო მიჰყავდათ V კლასის მოსწავლეებს: **ანა გლაზინას, მარინა** და **ჟანა მულიგინებს**.

ლამაზად მორთული დარბაზი, ლარნაკებში დათესილი ხორბალი და მწვანე ჯეჯილზე გაგორებული წითელი კვერცხები – *„კვერცხი არის სიმბოლო აღდგომისა და ახალი ცხოვრების დასაწყისისა, წითელი ფერი ჯვარცმული ქრისტეს სისხლისა, რომელიც დაიღვარა კაცობრიობის ხსნისთვის. ჩვენ მხოლოდ აღდგომას ვღებავთ კვერცხს, როგორც ბრძენნი ამბობდნენ, „ნაჭუჭი ცას ჰგავს, გარსი – ჰაერს, ცილა – წყალს, გული კი – დედამიწაო“, წითელი ფერი განასახიერებს იმას, რომ სამყარო ქრისტემ სისხლით გამოისყიდა და წითელი კვერცხის ხელში აღებით ვაცხადებთ ჩვენს გადარჩენას, აღდგომას!“* – გადმოგვცემდნენ რუსული სექტორის მოსწავლეები და აღდგომის შესახებ ლექსებს კითხულობდნენ. ღონისძიებაზე ხორნაბუჯის სკოლის მოსწავლემ **დაჩი შანშაშვილმა** სამეჯლისო ცეკვა შეასრულა თავის პარტნიორ გოგონასთან, **ნინიკო პაპუაშვილთან** ერთად, რომელიც პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეა. მოსწავლეებმა წარმოგვიდგინეს ინსცენირება ლევ ტოლსტოის ნაწარმოებიდან „აღდგომა“.

სწორად შერჩეული თემა, კარგი მხატვრული გაფორმება და მთელი გულით გაკეთებული საქმე თავისთავად გამოჩნდა. სასკოლო ღონისძიების მთავარი გზავნილი გახლდათ ის, რომ პატარა აღსაზრდელები მიეჩვივნენ სცენაზე გამოსვლის კულტურას, შეითვისეს სიახლეები და საზოგადოების წინაშე სხვა ამპლუით წარდგნენ, რათა გამოსცადონ თავიანთი შესაძლებლობები, საკუთარი თავის, ასევე პედაგოგებისა თუ მშობლების წინაშე. ასეთი შემოქმედებითი საღამოები აყალიბებს ახალგაზრდას სრულფასოვან პიროვნებად, რაც სასიცოცხლოდ აუცილებელია ნებისმიერი სკოლის ცხოვრების გასამრავალფეროვნებლად. ღონისძიების მომზადებაში ლომის წილი მიუძღვით პედაგოგებს და მშობლებს, რაც უდავოდ დასაფასებელია. ამ საღამოს მთავარი გზავნილიც სისრულეში იქნა მოყვანილი, თითოეული მონაწილის სახეზე ბედნიერი ღიმილი შეინიშნებოდა.

საპატიო სტუმარმა, გაზეთ „შირაქის“ ჟურნალისტმა, ააიპ „დედოფლისწყაროს ქალების“ აღმასრულებელმა დირექტორმა, **ლალი მეხრიშვილმა** უღრმესი მადლობა გადაუხადა სკოლას მოწვევისათვის. *„ხორნაბუჯის საჯარო სკოლას ხშირად ვსტუმრობ. მოხიბლული ვარ თქვენი პედაგოგიური კოლექტივის ერთსულოვნებით, თითოეულ ღონისძიებაზე იგრძნობა პედაგოგსა და მოსწავლეს შორის მშობლიური, მეგობრული დამოკიდებულება და ურთიერთპატივისცემა. ამის დასტური გახლდათ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის ასე შინაარსიანად აღნიშვნა“.*

აღდგომიდან ამაღლებამდე, ხორნაბუჯის საჯარო სკოლაში, მრავალი საინტერესო ღონისძიებაა დაგეგმილი.

**მარიკა პოპიაშვილი**

# ᲔᲙᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲪᲜᲝᲑᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲡᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲚᲐᲓ

თბილისში მდებარეობს კერძო სკოლა „პოლიგლოტი“, რომელიც ცდილობს აღზარდოს მაღალი სოციალური უნარებისა და მოქალაქეობრივი შეგნების ახალგაზრდები, გამორჩეულები კეთილგონიერებით, ერუდიციითა და კონკურენტუნარიანობით. ამისათვის შექმნილია სათანადო გარემო – სკოლას ჰყავს პროფესიონალი პედაგოგები, აქვს მრავალფეროვანი თანამედროვე სტანდარტის შესაბამისი რესურსები, კომპიუტერული ტექნოლოგიები, საუკეთესო ბიბლიოთეკა. სკოლაში მუშაობს ინოვაციური ჯგუფი, რომელშიც გაერთიანებული არიან კრეატიული იდეებისა და მაღალი შემოქმედებითი უნარის მქონე მასწავლებლები. სკოლის დირექტორი **მზია დაუშვილი** ხელს უწყობს მოაზროვნე ახალგაზრდების აღზრდას, რის გამოც დირექტორსა და სკოლას არაერთი მადლობის წერილი, დიპლომი თუ სიგელი დაუმსახურებია. ინოვაციური ჯგუფის ხელშეწყობით, მოსწავლეები მონაწილეობენ განათლების სამინისტროს მიერ შემოთავაზებულ საგანმანათლებლო პროექტებსა და კონკურსებში, ოლიმპიადებსა და კონფერენციებში; მონაწილეობენ აქტუალური პრობლემების ირგვლივ გამართულ დებატებსა და დისკუსიებში; იღრმავებენ ცოდნას და ეჩვევიან ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებას, რისი საუკეთესო საშუალებაც არის საგანმანათლებლო პროექტში მონაწილეობა, როგორც კონფუცი ამბობს: „მოვისმინე – დამავიწყდა, ვნახე – დამამახსოვრდა, გავაკეთე – ვისწავლე“. სკოლის გარემოსდამცველთა გუნდი (გუნდის სახელია „გარემოსდამცველი პოლიგლოტელები“) ჩართულია კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციის ახალ კონკურსში „აღმოაჩინე საქართველო“ და იბრძვის ნიკო კეცხოველის 2018 წლის პრემიის მოსაპოვებლად, ხოლო მანამდე, 2016-2017 ს/წელს, სკოლა „პოლიგლოტი“ ჩაერთო USAID-ისა და აშშ სატყეო სამსახურის (USFS) გრძელვადიან გუნდურ პროექტში „ისწავლე, გაუზიარე, გააკეთე უფრო მწვანე თბილისისათვის“ და მოიპოვა გრანტი. პროექტის ავტორია სკოლის ინოვაციური ჯგუფის ხელმძღვანელი, გეოგრაფიის მასწავლებელი **ნინო შეშაბერიძე**, თანაავტორები არიან: ქიმიის მასწავლებელი **მაია აფხაზავა** და ბიოლოგიის მასწავლებელი **როზა წიკლაური**. პროექტის სახელია „თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიის გამწვანება“.

პროექტის ფარგლებში, სკოლის გარემოსდამცველთა გუნდმა და თვითმმართველობამ შეისწავლა თბილისის ნაძალადევის რაიონის გამგეობის მიერ გამოყოფილი ტერიტორიის მიკროკლიმატური პირობები. ბიოლოგიის პედაგოგთან ერთად შეარჩიეს მცენარის სახეობა, კერძოდ, ელდარის ფიჭვი, რომელიც წითელ წიგნში შეტანილი საქართველოს ენდემია და ადვილად შეეგუება ადგილის კლიმატურ პირობებს. ამასთან, მოსწავლეებმა აიღეს ნიადაგის სინჯები ქიმიის პედაგოგთან ერთად და განსაზღვრეს, რა ტიპის სასუქის მიწოდება იქნება საჭირო ნიადაგის გასანოყიერებლად.

პროექტში, თავდაპირველად, მე-10 და მე-11 კლასების მოსწავლეები ჩაერთნენ. ეროვნული სატყეო სააგენტოდან მოწვეულ სპეციალისტებთან, **ზურა შოშიტაიშვილთან** და **იაკობ კაპანაძესთან**, ერთად გაიარეს ტრენინგი და ისწავლეს ხის დარგვისა და მოვლის წესები.

მომდევნო ეტაპზე, ბიოლოგიის პედაგოგის დახმარებით, უფროსკლასელებმა მოამზადეს პრეზენტაცია ხის დარგვის წესის, ენდემური მცენარეებისა და წითელი წიგნის შესახებ, სადაც ყურადღება გაამახვილეს ელდარის ფიჭვზე. პრეზენტაციის მიზანი იყო უფროსკლასელების მიერ უმცროსკლასელებისათვის ხის დარგვისა და მოვლის წესების სწავლება და მათი პროექტში ჩართვა.

პროექტის მიმდინარეობისას სკოლას ესტუმრა ცნობილი ფოტოგრაფი – **გოგა ჩანადირი** და ესაუბრა ბავშვებს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია გარემოზე ზრუნვა და მისი მოფრთხილება. ასევე მოსწავლეები იმყოფებოდნენ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში, სადაც მოისმინეს ლექცია: „ტყის მდგრადი მართვა“. სემინარზე მოსწავლეებმა საქართველოში ტყის სექტორში არსებული მდგომარეობის, პრობლემების, მათი გადაჭრის გზების, მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ მიიღეს ინფორმაცია. საინფორმაციო შეხვედრას სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს წარმომადგენელი **ეკატერინე ბალარჯიშვილი** უძღვებოდა.

ამის შემდეგ თითოეულ კლასში ჩატარდა გამოკითხვა და მოსწავლეებმა შეარჩიეს მოხალისეები, რომლებიც ჩაერთნენ პროექტში. მოსწავლეებმა (I-IX კლასები) უფროსკლასელებისგან მოისმინეს უკვე მომზადებული პრეზენტაცია, ისწავლეს, როგორ დარგონ ხეები, მოუარონ მათ და დაინაწილეს საქმე. 27 აპრილს, პროექტის ფარგლებში, გაიმართა დასკვნითი ღონისძიება. მოხალისე მოსწავლეებმა, პედაგოგებთან და მშობლებთან ერთად, დარგეს ნერგები. ამ ღონისძიებას დაესწრნენ: აშშ-ს სატყეო სამსახურის (USFS) და USAID-ის წარმომადგენელი **ბელა გორდონი**, აშშ-ს სატყეო სამსახურის კოორდინატორი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში **მარიამ თევზაძე** და ნაძალადევის გამგეობის წარმომადგენლები. ნარგავების მოვლის პასუხისმგებლობას, ყოველ წელს, მომდევნო მე-10 და მე-11 კლასი აიღებს, ეს წინადადება თავად ბავშვებმა წამოაყენეს.

სკოლა „პოლიგლოტი“ მადლობას უხდის აშშ-ს სატყეო სამსახურს (USFS) და USAID-ს ასეთი საინტერესო პროექტის განხორციელებისათვის, ასევე ნაძალადევის რაიონის გამგებლის მოადგილეს, **ირაკლი ანდღულაძეს**, ნაძალადევის რაიონის კულტურის განყოფილების უფროსს, **თეა ხოფერიას**.

ბუნების მოვლა-პატრონობა, ყველა ჩვენგანის ვალია. დღეს მწვანე საფარზე ზრუნვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემაა. სკოლა „პოლიგლოტის“ საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნის პედაგოგების მიერ განხორციელებული პროექტის მიზანიც ეს არის.

**ნინო შეშაბერიძე**
*სკოლა „პოლიგლოტის“ გეოგრაფიის მასწავლებელი*







კვალი ნათელი

# საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი – საბჭოთა კავშირის გმირი



**ვლადიმერ პაპიძე** დაიბადა 1900 წლის 14 აპრილს ჭიათურის რაიონის სოფელ უსახელოში. აქვე დაამთავრა შვიდი კლასი და სწავლა გააგრძელა სოფელ ნიგოზეთის საშუალო სკოლაში. მიიღო რა საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი, სწავლა ქალაქ ჭიათურის პედაგოგიურ ტექნიკუმში გააგრძელა, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა სკოლის მასწავლებლად ხარაგაულისა და ჭიათურის რაიონების სოფლებში. გამოირჩეოდა მაღალი პროფესიული კომპეტენციითა და პასუხისმგებლობით. აღსანიშნავია, რომ ზემო იმერეთის სოფლებში საკმაოდ მკაცრი კლიმატური პირობებია, მოდის დიდი თოვლი, მოსახლეობა გაფანტულია ვრცელ ტერიტორიაზე. ახალგაზრდა მასწავლებელი ვლადიმერ პაპიძე სკოლაში ფეხით დადიოდა, რაც, რა თქმა უნდა, ადვილი საქმე არ იყო.

დაიწყო დიდი სამამულო ომი. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების აღების შემდეგ, ომის გამოუცხადებლად, 1941 წლის 22 ივნისს, გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს. ომის დაწყებისთანავე ვლადიმერ პაპიძე ომში გაიწვიეს. მსახურობდა ანაპის 414-ე ქართულ მსროლელ დივიზიაში, 1941 წლიდან 1945 წლის მაისამდე. მან თავი გამოიჩინა ხელჩართულ ბრძოლებში, მისმა დივიზიამ ფაშისტებს გადაუღობა საქართველოსკენ მიმავალი გზა. გერმანელები იძულებული გახდნენ, გეზი ჩრდილოეთ კავკასიისკენ აეღოთ. მის მიერ ბრძოლებში გამოჩენილ მამაცობას დივიზიის ხელმძღვანელობამ მაღალი შეფასება მისცა და წარადგინა საბჭოთა კავშირის გმირის წოდებაზე.

საბჭოთა კავშირის გმირმა ვლადიმერ პაპიძემ საბრძოლო მოქმედებები რაიხსტაგის აღებით, 1945 წლის 9 მაისს, დაასრულა. ომის დამთავრების შემდეგ გამარჯვებული დაბრუნდა მშობლიურ სოფელში და პედაგოგიური მოღვაწეობა გააგრძელა. მას ჰქონდა ბრწყინვალე ქართული ოჯახი. მისმა ვაჟებმა, იაგომ და ნოდარმა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრეს. ბატონი ნოდარი ჭიათურის მანგანუმის ტრესტში მუშაობდა, ხოლო იაგო საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ასწავლიდა. ვლადიმერ პაპიძე გარდაიცვალა 1975 წელს. დასაფლავებულია მშობლიურ სოფელ უსახელოში.

საბჭოთა კავშირის გმირის, ვლადიმერ პაპიძის შთამომავლობა – შვილიშვილები და შვილთაშვილები აქტიურად მონაწილეობენ ახალი დემოკრატიული საქართველოს მშენებლობაში და ყოველთვის, განსაკუთრებით, გამარჯვების დღეს – 9 მაისს ამაყობენ სახელოვანი წინაპრით.

**სიმონ პაპიძე**
*აკადემიური დოქტორი,*
*პროფესორი*

თვალსაზრისი

# ეფექტური გაკვეთილის ფაქტორები

საერთაშორისო კვლევების მიხედვით, საქართველო მსოფლიოს სასკოლო რეიტინგის სიაში, 76 ქვეყნიდან 59-ე ადგილზეა. ეს არ არის უმნიშვნელო პრობლემა. განათლება გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკის, დემოკრატიისა და ზნეობის განვითარებაზე. შესაბამისად, განათლების დაბალი დონე ნიშნავს ამ სფეროების განვითარების დაბალ, არასათანადო ტემპს.

საბოლოოდ, ეს ყოველივე სხვა არაფერია თუ არა საზოგადოების კეთილდღეობისა და ბედნიერების დაჩქარების შეფერხება. სად არის გამოსავალი? ჩემი აზრით, გამოსავალი, ძირითადად, მდგომარეობს ხარისხიანი, ეფექტური გაკვეთილის ფ ა ქ ტ ო რ ე ბ ი ს დანერგვაში, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მითხარით როგორი ხარისხის გაკვეთილები ტარდება ქვეყანაში და გეტყვით როგორი იქნება ამ ქვეყნის ახლო მომავალი. ეფექტური გაკვეთილის ფაქტორები შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად – შინაგანი და გარეგანი ფაქტორები. შინაგან ფაქტორებში იგულისხმება ნებელობითი ფაქტორები – **მოტივი** (მასწავლებლის ნება, რომ ჩაატაროს ხარისხიანი გაკვეთილი), **ცოდნა** (მასწავლებლის მაღალი საგნობრივი და პროფესიული კომპეტენცია) და **ნებისყოფა** (ნების განხორციელების ძალა). აქვე აღსანიშნავია, რომ რაც უფრო ძლიერია მოტივი, მით უფრო ნაკლებად არის საჭირო ნებისყოფის ძალა. გარეგან ფაქტორებს შეიძლება მივაკუთვნოთ **მოსწავლეთა ზომიერი რაოდენობა კლასში, მასწავლებლის რაციონალური საათობრივი დატვირთვა** და **თითოეულ საგანში გაკვეთილის ხანგრძლივობის გაზრდა.**

**შინაგანი ფაქტორების შესახებ.** შესაძლებელია მასწავლებელს ჰქონდეს მაღალი კვალიფიკაცია, ანუ ცოდნა, მაგრამ თუ არ აქვს ხარისხიანი გაკვეთილის ჩატარების სურვილი, ანუ მოტივი, ის არ ჩაატარებს ასეთ გაკვეთილებს. ხოლო თუ მას აქვს მოტივი, გამოიჩენს ძალისხმევას, რომ აიმაღლოს კვალიფიკაცია და მუდმივად მხოლოდ ასეთი გაკვეთილები ჩაატაროს. ამიტომ, განმსაზღვრელი მნიშვნელობისაა ნება.

რა არის საჭირო ეფექტური გაკვეთილის ზემოთ აღნიშნული ორი შინაგანი ფაქტორის – მოტივისა და ცოდნის დანერგვისათვის? ჰერცბერგის ორფაქტორიანი თეორიის მიხედვით, რომელიც 1,2 მილიონი ტირაჟით გაიყიდა, მაღალი ხელფასი არ არის მოტივაციის გამომწვევი, არამედ ის არის ჰიგიენური ფაქტორი. ეს იმას ნიშნავს, რომ დაბალი ხელფასი იწვევს დაბალ შრომის ნაყოფიერებას, მაგრამ მაღალი ხელფასი არ არის მოტივატორი და შრომის ნაყოფიერების მკვეთრი ზრდის გარანტი. თუ შევაჯამებთ თანამედროვე გამოკვლევებს, მოტივირების და, შესაბამისად, შრომის ნაყოფიერების მკვეთრი ზრდის საშუალებაა შედეგთან მიბმული მოტივირების კონცეფციის დანერგვა, ანუ, როდესაც, მიღწეული შედეგების მიხედვით, გაიცემა მნიშვნელოვანი ოდენობის პრემიები (მაგალითად, ყოველკვარტალურად, ხელფასთან მიმართებით, მინიმუმ 20% პრემია, თუ მოსწავლე აჩვენებს გარკვეულ სასურველ შედეგებს მრავალ უნარში). ასეთი მოდელის დანერგვა უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების ზრდას 35%-მდე, ხოლო ორგანიზაციაში, სადაც არ მოქმედებს მსგავსი მოდელი, ადამიანები მხოლოდ იმდენს მუშაობენ, რამდენიც საკმარისია სამუშაო ადგილის შესანარჩუნებლად.

რაც შეეხება მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების გზებს, ცნობილია მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ორი მოდელი: ცენტრალიზებული და სკოლის ბაზაზე. გამოკვლევების მიხედვით, რიგი მიზეზების გამო, გაცილებით ეფექტურია სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, რომელსაც აშშ-ს სკოლებში უძღვება ტრენერ-კონსულტანტის თანამდებობის მქონე პირი. შესაბამისად, ჩვენს ქვეყანაში, მიზანშეწონილია უპირატესობა მიენიჭოს ამ მოდელის დანერგვას.

**გარეგანი ფაქტორების დანერგვისათვის.** ხარისხიანი გაკვეთილის გარეგანი ფაქტორები არანებელობითი ფაქტორებია. როგორც ზემოთ აღინიშნა, ასეთია სამი სახის ფაქტორი: მოსწავლეთა ზომიერი რაოდენობა კლასში, მასწავლებლის რაციონალური საათობრივი დატვირთვა და სკოლაში სწავლება.

როდესაც სკოლაში ვეცადეთ შინაგანი ფაქტორების – შედეგთან მიბმული მოტივაციური მოდელის და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ღონისძიებების განხორციელებას, მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ ხარისხიანი გაკვეთილის ჩატარებაში მათ ხელს უშლით:

1. კლასში მოსწავლეთა დიდი რაოდენობა. ეს გარემოება მასწავლებელს მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობის საშუალებას არ აძლევდა;

2. დიდი რაოდენობით საათობრივი დატვირთვა. მეორე დღისათვის მასწავლებელს უნდა დაეგეგმა და მოემზადებინა 4-5 გაკვეთილი, რაც, თითქმის, შეუძლებელი იყო. ასევე, რთულია ამდენი გაკვეთილის არა მხოლოდ დაგეგმვა და მომზადება, არამედ მეორე დღეს ხარისხიანად ჩატარებაც. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სახლში მასწავლებელს სჭირდება დრო როგორც პროფესიული, ისე მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურის გასაცნობად (ანუ პიროვნული ზრდისთვისაც) და ოჯახის წევრებთან ურთიერთობისთვის;

3. საგაკვეთილო დროის სიმცირე, რაც მასწავლებელს საშუალებას არ აძლევდა ადგილზე ესწავლებინა, განსაკუთრებით, დაბალი მოსწრების რისკის მოსწავლეებისათვის და ამით მოეხდინა სახლში არასათანადო სასწავლო გარემოს ჩანაცვლება სკოლაში სწავლებით.

პრაქტიკაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ზომიერია კლასში 8-12 მოსწავლე. რაც შეეხება საგაკვეთილო დროს, გაკვეთილი შეიძლება ორ, 35-35 წუთიან, ნაწილად დაიყოს, რომლის მეორე ნაწილიც ადგილზე დასწავლას დაეთმობა. თუ ეს გამოიწვევს სასკოლო დროის მნიშვნელოვან ზრდას, მაშინ შეიძლება დღეში 5 ორნაწილიანი გაკვეთილით შემოვიფარგლოთ.

სჯობს ხარისხიანად და ყველას შევასწავლოთ თუნდაც ნაკლები სასწავლო საგანი, ვიდრე ნაკლები სიღრმით, ზოგიერთ მოსწავლეს – მეტი საგანი (სხვა საკითხია, როგორი უნდა იყოს გაკვეთილის ერთი ნაწილის ხანგრძლივობა სხვადასხვა ასაკის ბავშვებისთვის).

რაც შეეხება მასწავლებლის საათობრივ დატვირთვას, ის შეიძლება იყოს დღეში ორი ორნაწილიანი გაკვეთილი. სკოლაში ხარისხიანი გაკვეთილების **განუწყვეტელი** ჩატარებისათვის საჭიროა როგორც შინაგანი, ისე გარეგანი ფაქტორების სრულად დანერგვა. ერთ-ერთი მათგანის გამოკლება ან მთლიანად გააუფასურებს ყველა ფაქტორს, ან მნიშვნელოვანწილად, მაგალითად, თუ მოცემული იქნება ყველა დანარჩენი ფაქტორი, მაგრამ არა შედეგთან მიბმული წახალისების მოდელი, ეს ყველა სხვა ფაქტორის დევალვაციასა და გაუვნებელყოფას გამოიწვევს. რას მივაღწევთ აღნიშნული შინაგანი და გარეგანი ფაქტორების დანერგვით? მივაღწევთ იმას, რომ **მასწავლებლები ეცდებიან, ყოველი გაკვეთილი ხარისხიანად ჩაატარონ**, რაც, ძირითადად, გულისხმობს ყ ვ ე ლ ა მოსწავლის მნიშვნელოვან აკადემიურ წარმატებას მათი შესაძლებლობების შესაბამისად და ამ შესაძლებლობების ზრდას.

**დავით ნაჭყებია**
*სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის*
*დიდი ჭყონის №1 საჯარო სკოლის*
*დირექტორი*



მოსწავლე მასწავლებელი

# ერთი დღე პროფესიაში

მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციის, მოსწავლეებში კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობის მიზნით, სკოლებში კამპანია „ერთი დღე პროფესიაში“ დაიწყო, რომლის ფარგლებში მიმდინარე აქცია – „მოსწავლე მასწავლებელი“ – XI-XII-კლასელებს სასურველ საგანში, შესაბამის თემაზე, თანაკლასელებისთვის ან სხვა კლასის მოსწავლეებისთვის, გაკვეთილების მომზადებას და ჩატარებას სთავაზობს.

მოსწავლეებმა წინასწარ წარუდგინეს კლასის დამრიგებელს და შესაბამისი საგნის მასწავლებელს გაკვეთილის ზოგადი გეგმა. სწორედ ისინი დაეხმარნენ მოსწავლეებს გაკვეთილის ორგანიზებაში. აქციაში მონაწილეობის უფლება ყველა მსურველ მოსწავლეს ჰქონდა, მიუხედავად აკადემიური მოსწრებისა.

თბილისის 51-ე და 37-ე საჯარო სკოლებში ჩატარებულ გაკვეთილებს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ლია გიგაური დაესწრო. მისი შეფასებით, შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. ყველა მოსწავლეს, ვინც აქციაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა, მოლოდინი – ჩაეტარებინა საუკეთესო გაკვეთილი – ნამდვილად გაუმართლდა. სავარაუდოდ, ისინი, მომავალში, მასწავლებლის პროფესიას აირჩევენ და თუ არ აირჩევენ, ზუსტად ეცოდინებათ, როგორ ემზადება მასწავლებელი გაკვეთილისთვის, რა სირთულეებთანაა ეს დაკავშირებული, როგორ უნდა დაისახო მიზანი და მიაღწიო მას, რა ნაბიჯები უნდა გადადგა ამისათვის, რამდენად მნიშვნელოვანია ყოველ გაკვეთილზე, დასახული მიზნების მისაღწევად, თითოეულ მოსწავლესთან კომუნიკაცია.

**ლია გიგაური**, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე: *„მოსწავლეები სხვადასხვა საგნებში ატარებდნენ გაკვეთილებს. აღფრთოვანებულები ვართ, ასეთ შედეგს არ მოველოდით, მართლაც კვალიფიციურად და მაღალ დონეზე ატარებენ, კარგად არიან მომზადებულები. ეს პროექტი მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციას ემსახურება, ასევე, მოსწავლეებში მოტივაციის შექმნას, მომავალში სწორედ მასწავლებლის პროფესია აირჩიონ.“*

*„ძალიან საინტერესო გამოწვევა იყო, დავინახე რა ხდება იმ 45 წუთის მიღმა, რას დებს მასწავლებელი თითოეულ გაკვეთილში.* – ამბობს **მარიამ ბატიაშვილი**, 51-ე საჯარო სკოლის მოსწავლე – *საინტერესო აქტივობები დავგეგმეთ, კარგად გავეცანი, როგორ ხდება, ზოგადად, გაკვეთილის აგება. ეს ჩემთვის ძალიან საინტერესო სიახლე იყო და ვისურვებდი, კიდევ ერთხელ მეცადა თავი ამ პროფესიაში.“*

**მანანა თურქაძე**, 51-ე საჯარო სკოლის დირექტორი ამბობს, რომ პროექტს ძალიან დიდი გამოხმაურება ჰქონდა, ბევრმა ბავშვმა გამოთქვა სურვილი, ყოფილიყო მასწავლებელი. რადგან მოთხოვნა დიდი იყო, გადაწყვიტეს, გაკვეთილები, კვირეულის ფარგლებში, გაგრძელებულიყო. *„ბავშვები დიდი ენთუზიაზმით და დიდი სერიოზულობით შეუდგნენ ამ საქმეს. ნახეს, რა რთულია გაკვეთილის ჩატარება და რა რთულია მართო კლასი. დიდი ხალისით შეუდგნენ საქმეს, მიდგომა სერიოზული იყო როგორც მასწავლებლის, ისე მოსწავლეების მხრიდან.“*



**ლარისა მელაძე**, 37-ე საჯარო სკოლის დირექტორი: *„ჩვენი სკოლა დიდი სიამოვნებით და ენთუზიაზმით შეუერთდა აქცია-პროექტს „ერთი დღე პროფესიაში“. როდესაც უფროსკლასელებს მონაწილეობა შევთავაზეთ, იმდენი მსურველი იყო, რომ კონკურსიც კი ჩატარდა. ჩვენს სკოლაში სწავლება ორ ენაზე მიმდინარეობს – რუსულ და ქართულ სექტორებზე. რუსული სექტორის ბავშვებმა ქართულ სექტორზე, დაწყებით კლასებში, ჩაატარეს ქართული ენის და ხელოვნების გაკვეთილები. ქართული სექტორის ბავშვებმა კი – რუსულ სექტორზე ჩაატარეს ფიზიკის, ანუ მოხდა ორი სექტორის ინტეგრირება.“*

აქციას სსიპ №203 საჯარო სკოლაც შეუერთდა. მეთორმეტეკლასელმა **მაკა ბეგაშვილმა** VII კლასში მათემატიკის გაკვეთილი ჩაატარა, თემა – „ნატურალურმაჩვენებლიანი ხარისხის თვისებები“ (კლასის ხელმძღვანელი – **მაკა გელბახიანი**). მოსწავლეებს დახმარებას უწევდნენ სკოლის მათემატიკის მასწავლებლები – **ლელა ჩინჩალაძე** და **ირინა ოსიპიანი**. სკოლის დირექციის ხელშეწყობით, აქცია წარმატებით განხორციელდა, მოსწავლეებმა მსგავს აქტივობებში ხშირად ჩართვის სურვილი გამოთქვეს.









ბათუმის მე-16 საჯარო სკოლაში იმიტირებული გაკვეთილი ორ საგანში – ისტორიასა და ქართულში ჩატარდა. მოსწავლეები თანატოლების მიერ ჩატარებული გაკვეთილებით კმაყოფილი დარჩნენ:

*„პირველ რიგში, იმიტომ მომეწონა არასტანდარტული გაკვეთილი, რომ ბავშვები უფრო მეტად ვიყავით გახსნილი და ჩვენთვის საინტერესო თემაზე ვსაუბრობდით. სტანდარტული გაკვეთილის პირობებში კი, არ გვეძლევა შესაძლებლობა იმაზე ვისაუბროთ, რაც მოგვწონს და გვინდა. ჩვეულებრივ გაკვეთილზე ნაკლები შესაძლებლობა გვაქვს, დავსვათ კითხვები.“*

*„უფრო მეტად ის მომეწონა, რომ ჩვენი აზრის თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობა მოგვეცა. ეს უკვე კომფორტია.“*

*„ასეთ გაკვეთილებს მიჩვეული არ ვართ. სტანდარტული გაკვეთილების დროს გვიჭირს აზრის გამოხატვა, რადგან ვშიშობთ, რომ შეცდომა არ დავუშვათ. ამიტომ, უფრო ვაკვირდებით პროცესებს, ვიდრე ვმონაწილეობთ. ასეთი გაკვეთილების შემთხვევაში კი, უფრო მეტად ვიქნებით გახსნილები.“*

იმიტირებულ გაკვეთილს სკოლის დირექტორი **თამთა კვარაცხელიაც** ესწრებოდა. იგი ამბობს, რომ იმიტირებული გაკვეთილიც კი, რომელიც სტანდარტულისგან გარკვეული დეტალებით განსხვავდებოდა და ბავშვებს მეტ თავისუფლებას აძლევდა, ქართული საგანმანათლებლო სისტემის პრობლემას ნათლად აჩვენებს – ეს პრობლემაა მონოტონურობა, როცა ცენტრში დგას პედაგოგი და არა მოსწავლე.







აქციაში „მოსწავლე მასწავლებელი“ გორის მუნიციპალიტეტის ქვახვრელის საჯარო სკოლაც (დირექტორი – **მზია ოხანაშვილი**) მონაწილეობდა. უფროსკლასელებმა გაკვეთილები ჩაატარეს: ქიმიაში, მათემატიკაში, ინგლისურ და რუსულ ენებში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში და ა.შ. სკოლის ადმინისტრაციის ცნობით, კამპანია „ერთი დღე პროფესიაში“ სკოლის თვითმმართველობის მოსწავლეების ორგანიზებით ჩატარდა.



მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციისა და მოსწავლეებში კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობის მიზნით, აქციას „მოსწავლე მასწავლებელი“ ადიგენის მუნიციპალიტეტის არლის სკოლაც შეუერთდა. მეათე კლასის მოსწავლემ, **ანა აფრიამაშვილმა** თანაკლასელებთან ბიოლოგიის გაკვეთილი ჩაატარა, ხელმძღვანელობდა პედაგოგი **ნინო კაჭკაჭაშვილი**.

აქციამ „მოსწავლე მასწავლებელი“ მასობრივი სახე მიიღო, მასში მონაწილეობის სურვილი საქართველოს სკოლების 700-მდე მოსწავლემ გამოთქვა. მათი დაინტერესება მასწავლებლის პროფესიით გახდება თუ არა, მომავალში, იმის საწინდარი, რომ პროფესიის არჩევანს პედაგოგობაზე გააკეთებენ, დღეს ძნელი სათქმელია, მაგრამ ერთი რამ ცხადია, მასწავლებლის შრომას ნამდვილად უფრო მეტად დააფასებენ.



სპორტი

# კარატე

წინა კვირაში ბულგარეთის საკურორტო ქალაქ ვარნაში დამთავრდა მსოფლიოს ჩემპიონატი კარატეში ჭაბუკთა შორის, რომელშიც წარმატებით იასპარეზა ქუთაისელმა **დავით საღრიშვილმა**. მან ბულგარეთში ოთხი შეხვედრა ჩაატარა და ყველა დამაჯერებლად მოიგო, რითაც მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულსაც დაეუფლა. მშობლიურ ქუთაისში დაბრუნებულ ჩემპიონსა და მის მწვრთნელს, მე-7 დანის მფლობელ **ალექსანდრე დოლაბერიძეს** საკადრისი პატივითაც დახვდნენ – მიიღო ქუთაისის საიპ სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების მმართველმა **ნინო უჩაძემ**, რომელმაც წარმატება მიულოცა მათ.

თუმცა უჩაძისთვის, ამ დღეებში, ეს ერთადერთი ანალოგიური შეხვედრა არ ყოფილა გამარჯვებულებთან – ჭაბუკ ფრენბურთელთა გუნდსაც უმასპინძლა, რომლებიც 2001-2002 წლებში დაბადებულ ბიჭებში საქართველოს ჩემპიონები გახდნენ. ბარემ აქვე გეტყვით, რომ ქუთაისელმა ფრენბურთელებმა უფროსებშიც გაიმარჯვეს ქვეყნის პირველობაზე და დიდჯიხაიშელთა (სამტრედია) უცვლელი ჰეგემონობა პირველად მათ დაარღვიეს.

ვარნას ტურნირამდე რამდენიმე დღით ადრე, დანიის ქალაქ როსკილდში, გაიმართა ევროპის ჩემპიონატი კონტაქტურ კარატეში უფროსებსა და ახალგაზრდებს შორის, სადაც წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი ახალგაზრდები, რომლებმაც თითო ოქრო და ვერცხლი მოიპოვეს. კონტინენტის ჩემპიონი **ნიკოლოზ ნავროზაშვილი** (60) გახდა, ხოლო **ოთარ ესიტაშვილი** (80) მეორეზე გავიდა. ახალგაზრდებთან ერთად, უფროსებმაც წარმატებით იასპარეზეს, რომლებმაც ამ მონაგარს კიდევ 3 მედალი დაუმატეს.

ამასთან, საქართველოს დელეგაციამ 2020 წლის ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობის უფლებაც მიიღო.



# ჩემპიონთა მემკვიდრეები გორიდან

ქუთაისის სპორტის სასახლეში,წელს მეხუთედ ჩატარდა ირაკლი წოწონავას ხსოვნის ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, ამჯერად ორ ასაკობრივ ჯგუფში – 2004-2006 და 2007-



2008 წლებში დაბადებულთა შორის. შეჯიბრებაში ქვეყნის სხვადასხვა რაიონის 16 გუნდი მონაწილეობდა, 150-ზე მეტი მოზარდით.

ბუნებრივია, როგორც მოზარდთა ყველა შეჯიბრებამ, ამანაც პატარების დიდი ინტერესი გამოიწვია, თუმცა იყო ერთი შეხვედრა, რომელიც განსაკუთრებულად მოექცა ყურადღების ქვეშ –უმცროსებში, 38 კილოგრამის ფინალში, ერთმანეთს გორელები, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონის, ორგზის ოლიმპიურ პრიზიორ გიორგი გოგშელიძის ვაჟი **დავით გოგშელიძე** და ევროპის ჩემპიონის, მსოფლიოსა და ოლიმპიურ პრიზიორ გენო პეტრიაშვილის უმცროსი ძმა **კოტე პეტრიაშვილი** შეხვდნენ. შეხვედრა დაძაბული და საინტერესო გამოდგა. საბოლოო გამარჯვება პეტრიაშვილს დარჩა.

საერთოდ, გორელები საკმაოდ წარმატებით გამოვიდნენ ამ შეჯიბრებაში. მაგალითად, უმცროსებში 6 წონიდან 5-ში მათ გაიმარჯვეს. პეტრიაშვილის გარდა, იქაურთაგან ჩემპიონები გახდნენ: **გიორგი მაისურაძე** (23კგ), **გიორგი წურიაშვილი** (26), **თორნიკე ქერდიყოშვილი** (29), **ლუკა ტატიაშვილი** (32) და **ნიკა მაისურაძე** (35). გორელებმა სხვა გუნდებს მხოლოდ ოქრო დაუთმეს: ქუთათურთა ჯიბრზე, მძიმე წონაში, ხონელმა **საბა რუხაძემ** გაიმარჯვა და ფინალში ქუთაისელი დემურ ბაღდავაძე დაამარცხა.

არც მასპინძლები დარჩენილან გულდაწყვეტილნი, რადგან უფროსებში დაისაკუთრეს ორი მედალი: 53 კილოგრამში **გაბრიელ ჩაჩხიანმა**, 59-ში კი **ნიკა ფანცულაიამ** გაიმარჯვეს. სხვა წონებში ჩემპიონები ხაშურელი **ლაშა ლომიძე** (32), გორელი **გოგა ოთანაშვილი** (35), ბათუმელი **რევაზ სალაძე** (38), სამტრედიელები – **მურმან იობიძე** (42), **ლაშა ჯანელიძე** (47) და ხაშურელი **ნიკა სულაძე** (+59) გახდნენ.

# მოსწავლეები სპორტის მუზეუმში

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი აგრძელებს ქართული სპორტის პოპულარიზაციას და ოლიმპიურ მუზეუმში ისევ მასპინძლობს ქვეყნის სხვადასხვა ქალაქის საჯარო თუ კერძო სკოლებს. გასულ კვირაში იქ ასეთი რამდენიმე ვიზიტი შედგა. ჯერ მუზეუმს დაბა სურამის მე-2 საჯარო სკოლისა და საპატრიარქოს დავით ყიფიანის სახელობის სკოლა-პანსიონის მოსწავლეები ესტუმრნენ, რომლებსაც მოსკოვის ოლიმპიადის გამარჯვებულმა, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში **ვახტანგ ბლაგიძემ** უმასპინძლა. მოგვიანებით იქაურობას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ინტელექტის“ დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები ეწვივნენ, მათი მასპინძელი კი სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს ყველა დროის რეკორდსმენი ოლიმპიელი, 8 თამაშების მონაწილე, სამივე ოლიმპიური სინჯის მედლის მფლობელი, ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის სამგზის ჩემპიონი **ნინო სალუქვაძე** იყო.

როგორც ყველა ანალოგიურ შემთხვევაში, ორივე ჯგუფმა დაათვალიერა ქართული ოლიმპიზმის, ქართული სპორტის მართლაც მდიდარი მატიანე. მოსწავლეებმა მასპინძლებისგან მოისმინეს საინტერესო ისტორიები მათი სპორტული კარიერიდან. ორივე შემთხვევაში, მოზარდებმა ნახეს ფილმი „ერთი ჩემპიონის ისტორია“, სამივე სკოლას კი ოლიმპიური კომიტეტისგან საჩუქრად გადაეცა წიგნი „მოგზაურობა ოლიმპეთში“.

# პატარიძე ისევ იგებს

ალმა-ატიში გამართულ ოლიმპიურ ჩემპიონ ჟაკსილკა უშკემპიროვის მემორიალში, ბერძნულ-რომაულ სტილში მოჭიდავე საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა 6 მედალი მოიპოვა: 3 ოქრო, 1 ვერცხლი და 2 ბრინჯაო. ჩემპიონები გახდნენ: **ბექა მამუკაშვილი** (74), **თემურ ჭკუასელიძე** (84) და მძიმეწონოსანი **ზვიად პატარიძე**. **გიორგი კურტანიძე** (66) მეორეზე გავიდა, ხოლო ბრინჯაოს მედლები **გიორგი გუჯაბიძემ** (66) და **საბა ბუხრიკიძემ** (96) მოიპოვეს.

მამუკაშვილმა ფინალურ შეხვედრაში სომეხი მალხაზ ამოიანი დაამარცხა, ჭკუასელიძემ და პატარიძემ კი მასპინძლებს აჯობეს. შესაბამისად, **სანჟარ ტიმირბეკს** და **ანტონ სავენკოს**.

გუნდურ ჩათვლაში ჩვენი ნაკრები მეორეზე გავიდა.



რუბრიკა მოამზადა ირაკლი თავაძემ

ინფორმაცია




✓ წალენჯიხის რაიონის ქალაქ ჯვარში პროფესიული კოლეჯის „ლაკადა“ სრული რეაბილიტაცია განხორციელდა. კოლეჯში განახლდა სასწავლო და საოფისე ინვენტარი, სასწავლებელი უზრუნველყოფილია თანამედროვე გათბობისა და კონდიციონირების სისტემით, აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით, ადაპტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის, შენობას აქვს ლიფტი.

✓ თანამედროვე სტანდარტების პროფესიული სასწავლო დაწესებულება განახლებული ინფრასტრუქტურით აგრძელებს ფუნქციონირებას.

✓ 2013-2016 წლებში განხორციელდა 7 პროფესიული სასწავლებლის სრული და 4 პროფესიული სასწავლებლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია, არსებულ ქსელს დაემატა 7 ახალი სასწავლო კორპუსი.



## მასწავლებლის სამუშაო რვეული




**მასწავლებლის სამუშაო რვეული** პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:
1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

4 ლარი

## ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში




წიგნში თავმოყრილია დაწყებითი კლასებისთვის აქტუალური სწავლების მეთოდების გამოყენებით შექმნილი გაკვეთილის სცენარები ქართულში, მათემატიკაში და ბუნებაში. სახელმძღვანელო დაეხმარება მასწავლებელს მოსწავლეებს განუვითაროს: წიგნიერების, მედიაწიგნიერების, მათემატიკური წიგნიერებისა და კვლევითი უნარები, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება.

6.50 ლარი

## კათედრის გამგის პორტფოლიო




**კათედრის გამგის პორტფოლიო** საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესაბამისი სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

## ინტერაქტიური მეთოდების კრებული




კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

6 ლარი

## მასწავლებლის კალენდარი




კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი წლის განმავლობაში შეუძლია **დაგეგმოს და ჩაინიშნოს** მისთვის საჭირო და სასურველი აქტივობები და ინფორმაციები. კალენდარი ყოველკვირეულად აწვდის მასწავლებელს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, **პედაგოგიურ რჩევას თუ საჭირო ინფორმაციას. კალენდარს ახლავს** შესაბამისი გაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აქტივობების რეესტრი და თავისუფალი ფურცლები, რათა მასწავლებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეს განთავსებული.

სიახლე

5.50 ლარი

## ცნობარი დაწყებითი კლასების პედაგოგებისათვის




ცნობარი დაწყებითი კლასების პედაგოგებისთვის მომზადდა დაწყებითი კლასების მასწავლებლების საჭიროების გათვალისწინებით. მოიცავს: საგნობრივ, თეორიულ მასალას; ცოდნის შესამოწმებელ ტესტებს, რაც საგნობრივი გამოცდისთვის მომზადებაში დაეხმარებათ.

14 ლარი




**წიგნი I**
ძველი ქართული მწერლობა




**წიგნი II**
„ვეფხისტყაოსანი“




**წიგნი III**
XIX საუკუნის მწერლობა




**წიგნი IV**
XX საუკუნის მწერლობა

*თითო ტომის ფასი – 13 ლარი*

## მოვემზადოთ საატესტატო გამოცდებისთვის

კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული მასალა და ტესტები. გადასაფხეკი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამომცემლობის ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე




fb.com/bakursulakauripublishing

ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩააბაროთ როგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.




თითო კრებულის ფასი – 10.90 ლ

## ქართული ენის კრებულები




ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრამატიკის თეორიული კურსი და სავარჯიშოები.

სერიის ფასი – 17.70ლ

## ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია „ნამდვილი და მოგონილი ამბები“ შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით.

სერიის ფასი – 32.40ლ







12 ლარი

**თამაზ ვასაძე**
კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი




10 ლარი

**ფიზიკა**
საატესტატო გამოცდისთვის
ქ. ტატიშვილი, ზ. ბერაია




7 ლარი

**ქართული ენის გრამატიკა**
სინტაქსი (სასკოლო კურსი)
ნ. შარაშენიძე




8 ლარი

**ქართული ენის გრამატიკა**
მორფოლოგია (სასკოლო კურსი)
ნ. შარაშენიძე




ერთი ტომის ფასი – 9 ლარი

**თემატური ენციკლოპედია „რა არის რა“**
- ქიმია
- მეცნიერებები
- ხალხთა დიდი გადასახლება
- კრიმინალისტიკა
- არქიტექტურა
- ევროპა
- უძველესი ადამიანი
- მეკობრეები
- ჯანსაღი კვება
- ამინდი
- ოლიმპიური თამაშები



10 ლარი

**თამარ ბეროზაშვილი**
ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)




4 ლარი

**თამაზ ვასაძე**
ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის




10 ლარი

**ბიოლოგია** (II ნაწილი)
ეროვნული გამოცდებისთვის
ლ. ბურდილაძე, ნ. სიხარულიძე, ქ. მაღრაძე, ლ. ნაზირიშვილი




9 ლარი

**ისტორია**
საატესტატო გამოცდისთვის
ნ. ახმეტელი, ბ. ლორთქიფანიძე, ნ. მურღულია

**ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:**
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
ფიზიკურმა პირებმა, თანხის გადმორიცხვისას, მიუთითეთ პირადი ნომერი. შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით: 599880073, 0322958023

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი
მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com
რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.
ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

CMYK